



ახალი განათლება

31 მარტი - 6 აპრილი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№13 (727) გაიშინა 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



დაწყებითი განათლება

რას შეცვლის G-PRIED დაწყებით განათლებაში

გვერდი 2

პროფესიული განათლების ახალი მოდელი

გვ. 3

განათლების რეფორმა

დაინერგება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

ხელმისაწვდომი იქნება კერძო სექტორის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიები

სტუდენტები დაეუფლებიან სამენარმეო კომპეტენციებს

#განათლება2016

სტიგმისა და სტერეოტიპების ბარემოცვაში

გვ. 6



პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაცია იწყება

28 მარტი - 10 აპრილი

განათლება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პროფესიული განათლების მიღების მსურველთა რეგისტრაციას აცხადებს! რეგისტრაცია იწყება 28 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით.

ნებისმიერი ასაკის დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სრული სახელმწიფო დაფინანსებით, დაეუფლოს სასურველ პროფესიას ტურიზმის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სხვა მიმართულებებით. მოთხოვნის შემთხვევაში, ხელმისაწვდომი იქნება საღამოს კურსებიც.

სასურველი პროგრამისა და კოლეჯის/უნივერსიტეტის შერჩევა შესაძლებელია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge) და პროფესიული განათლების ვებ-პორტალზე (www.vet.ge).

რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია საქართველოს მასშტაბით არსებულ საინფორმაციო ცენტრებში, სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრებსა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში. რეგისტრაციის მსურველმა თან უნდა იქონიოს

მხოლოდ პირადობის მოწმობა.

რეგისტრირებულ აპლიკანტს, რეგისტრაციიდან რამდენიმე დღეში, გადაეცემა საგამოცდო ბარათი, რომელზეც დატანილი იქნება ინფორმაცია ტესტირების ადგილისა და თარიღის შესახებ.

ინფორმაცია პროფესიული ტესტირების შესახებ და ასევე ტესტების ნიმუშები განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge).

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები რეგისტრაციას გადიან, თუმცა ისინი სარგებლობენ ალტერნატიული პროფესიული ტესტირებით, რაც, პროფესიის მოსიწვევის გზით, მათთვის პროფესიის შერჩევას გულისხმობს. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ტესტირებას მშობლიურ ენაზე გაივლიან.


საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გისურვებთ წარმატებას!

დაწყებითი განათლება

რას შესვლის G-PRIED დაწყებითი განათლებაში

ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს იმ საერთაშორისო კვლევების შედეგებს, რომლებიც დაწყებითი კლასების მოსწავლეების დაბალ შედეგებზე მიუთითებს. საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PRIED) წარმოადგენს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების საბაზენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციური, მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას, დაწყებითი კლასების მოსწავლეთა უნარების გაუმჯობესებას კითხვასა და მათემატიკაში, მასწავლებლებისათვის სწავლების ახალი სტრატეგიების გაცნობის, ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფისა და კითხვასა და მათემატიკაში საგნობრივი ინტერესის კომპეტენციების გაზრდის გზით.

უფრო კონკრეტულად პროექტის საქმიანობის შესახებ მოგიტყვობს მისი ხელმძღვანელი ინდირა ამირანაშვილი



– იმ რთული ვითარებიდან გამომდინარე, რაც დაწყებით განათლებაში გვაქვს, პროექტის ძირითადი აქტივობები დაკავშირებულია მასწავლებლებთან და მიზნად ისახავს მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, ინოვაციური სწავლების მეთოდების გაცნობას, რათა ყოველი გაკვეთილი იყოს ადვილად აღსაქმელი და სახალისო და შედეგიანი. ამიტომ პირველ რიგში, შევარჩიეთ 100 ტრენერი, უმეტესწილად, ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლები, რომლებმაც გაიარეს შესაბამისი ტრენინგ-კურსები და შემდეგ ეს ცოდნა, როგორც ტრენერებმა, გადასცეს კოლეგებს. პროექტი 2013 წელს 122 საპილოტე სკოლაში დაიწყო და მოიცავდა 1200-მდე მასწავლებელი კითხვაში და მათემატიკაში. სწორედ ამ ორი ძირითადი საგნის ინოვაციური მეთოდებით სწავლებამ შეიძლება გააუმჯობესოს ის არასახარბიელო ვითარება, რაც დღეისათვის გვაქვს. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ სამოქმედო არეალის გაფართოება და ამჟამად 580-ზე მეტ სკოლასთან ვთანამშრომლობთ, შესაბამისად, თითქმის, გაოთხმაგდა პროექტის მონაწილე პედაგოგების რაოდენობა, ჯამში 8,000-ზე მეტია. აქედან 5,500-ზე მეტი ასწავლის კითხვას, და 5,700-ზე მეტი – მათემატიკას. ეს ნიშნავს, რომ, ქვეყნის მასშტაბით, საჯარო სკოლების 28%-ია ჩართული პროექტის მუშაობაში. მათი შერჩევა, კონკურსის პირობებში, ძირითადად, სკოლების სურვილის მიხედვით მოხდა, თუმცა იყო გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც უნდა დაეკმაყოფილებინათ მონაწილეობის მსურველებს.

– რას დასავლელდით პროექტის მთავარ მიმართულებად?

– როგორც მოგახსენეთ, ჩვენი აქტივობების სამიზნე ჯგუფი პედაგოგები არიან. ერთი მხარეა მათთვის კვალიფიკაციური ტრენინგების ჩატარება, მაგრამ მეორე და აუცილებელი პირობაა სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარებისთვის პირობების შექმნა. ჩვენ შევთანხმდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომ სკოლის ბაზაზე შექმნილიყო გარკვეული სისტემა, რომლის ფარგლებშიც პედაგოგები გუნდურად შეძლებდნენ პროფესიული განვითარებისთვის მუშაობას და შეეთავაზებინათ ე.წ. საგნების მიხედვით მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების შექმნა. მაგალითად, სკოლაში 5 მასწავლებელი ასწავლის ქართულს. ისინი ერთიანდებიან და ირჩევენ ფასილიტატორს, რომელიც გამოირჩევა როგორც აქტიურობით, ასევე კვალიფიკაციით. ფასილიტატორებს ჩვენ დამატებით ვაწვდით სასწავლო და მეთოდურ რესურსებს, ვუტარებთ ტრენინგებს და ვაძლევთ რეკომენდაციებს, როგორ ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები, როგორცაა: განმავითარებელი შეფასების შედეგების განხილვა და ანალიზი, ურთიერთდაკვირვება საკლასო ოთახში და უკუკავშირის გაზიარება, გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა და სხვ. თითოეული ეს ნაბიჯი თანხვედრაშია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ პედაგოგთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემასთან.

ჩვენი მუშაობის მეორე მიმართულება სკოლის დირექტორის როლსა და მნიშვნელობას ეხება. რატომღაც მიიჩნევენ, რომ სკოლის მართვისთვის სრულიად საკმარისია კარგი მენეჯერული უნარები და უგულვებელყოფილია მისი, როგორც სასწავლო პროცესის ხელმძღვანელის როლი. თუ დირექტორს არ ესმის, როგორ უნდა მიმდინარეობდეს საგანმანათლებლო პროცესი ეფექტურად, მხოლოდ გამართული ადმინისტრირებით კარგ შედეგს ვერ მივიღებთ. დირექტორს უნდა შეეძლოს პედაგოგის საქმიანობის პროფესიონალურად შეფასება და მისი შემდგომი განვითარების მხარდაჭერა. ჩვენ ასეთი მეთოდი გვაქვს: ტრენინგების ჩატარების შემდეგ, ტრენერები ბრუნდებიან სკოლებში და აკვირდებიან, როგორ იყენებენ პედაგოგები ტრენინგებზე მიღებულ ცოდნასა თუ რეკომენდაციებს. გაკვეთილზე დასწრების შემდეგ მასწავლებლებს უზიარებენ მოსაზრებებს კონსტრუქციული უკუკავშირის სწავლების როგორც ძლიერი, ასევე გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. ამ განხილვებს, შეძლებისდაგვარად, ესწრებიან დირექტორები, რომლებიც თავად დამოუკიდებლად ატარებენ მასწავლებელთა შეფასებებს და საკლასო დაკვირვებებს ჩვენი პროექტის მიერ შეთავაზებული მეთოდისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

ჩვენი პროექტის მუშაობა პედაგოგებთან წარმოადგენს ერთ

უნწყვეტ ციკლს: ერთ-ორ-დღიანი ტრენინგი, შემდეგ ერთი-ორი კვირა პრაქტიკა კლასში, შემდეგ ისევ ტრენინგი, და ასე შემდეგ. საკლასო პრაქტიკის დროს მათ აკვირდებიან ტრენერები, ან დირექტორი და პარალელურად ისინი მონაწილეობენ საგნობრივ მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების მუშაობაში.

– ტრენინგ-კურსების გარდა რა აქტივობებს ახორციელებთ პროექტის ფარგლებში?

– ინოვაციური მეთოდებით სწავლება რომ აუცილებელი პირობაა შედეგის გასაუმჯობესებლად, ეს საკამათო აღარ არის, მაგრამ ეს მეთოდი ვერ იქნება სრულყოფილი საგანმანათლებლო რესურსების, თვალსაჩინოებების, დამხმარე სახელმძღვანელოების გარეშე. ქართულ რეალობაში კი ეს პრობლემა არსებობს. ამიტომ ჩვენ იმთავითვე დაიწყეთ ზრუნვა ამ სიცარიელის შესავსებად. შემოვიკრიბეთ ავტორთა და ილუსტრატორთა ჯგუფი, რომელთაც დღეისათვის, ჩვენი ხელმძღვანელობით, 300-მდე საკითხავი წიგნი აქვთ შექმნილი. აღნიშნული დამატებით საკითხავი მასალა, ფაქტობრივად, რეგულაციური მიდგომით არის შედგენილი სირთულეების დონეების მიხედვით, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ლინგვისტებს, ფსიქოლოგებს, ფილოლოგებს. თითო დონეზე, მაგალითად! კლასში, არსებობს პირველი, მეორე და მესამე სირთულის დონის საკითხავი ტექსტები. გათვალისწინებულია როგორც ასაკობრივი ჯგუფები, ასევე ქართული და ქართული, როგორც მეორე ენის, სპეციფიკა. ეს გამოცემები ყველა საპილოტე სკოლაში დარჩება, ახლა სხვა პროექტში მონაწილე საჯარო სკოლებსაც ურიგდება. ეს წიგნები გამოიყენება ქართული და ქართული, როგორც მეორე ენის გაკვეთილების და კითხვის საათის დროს, დამოუკიდებელი კითხვისთვის და დიფერენცირებული სწავლებისთვის.

უნდა აღინიშნოს რესურსწიგნები მათემატიკისა და ქართულის მასწავლებლებისთვის და ძალიან ბევრი დამხმარე მასალა კლასების მიხედვით, მაგალითად, კითხვის და მათემატიკის აქტივობების ბარათები, პოსტერები, მათემატიკური მანიპულატივები, მოსწავლის გაზეთები, ასევე სამოდულო გაკვეთილების ნიმუშები და სხვ. დიდი მუშაობა ტარდება მხოლოდ ჩართულობის კუთხითაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანად მიმაჩნია პროექტის მიერ განხორციელებული აქტივობებისთვის, რომლებიც არაქართულ რეგიონებში ასწავლიან სახელმწიფო ენას. „ქართული როგორც მეორე ენა“ პროექტის მონაწილეებს გარდა იმისა, რომ ჩაუტარდათ განსხვავებული შინაარსის ტრენინგები, მათთვის შეიქმნა ადაპტირებული მასალა და სპეციალური წიგნები. რაც შეეხება მათემატიკის მასწავლებლებს, მათთვის კოლოსალური შრომა გასწიეს მთარგმნელებმა და ყველა ეს მასალა ითარგმნა რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

– რა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვან სიახლედ და მიღწევად პროექტის მიმდინარეობის პერიოდში?

– ცალკეული აქტივობის წარმატებით განსახორციელებლად ძალიან მნიშვნელოვანი იყო სკოლების ტექნიკური აღჭურვა, რაც უზრუნველყო განათლების სამინისტრომ. ყველა სკოლა, ქვეყნის მასშტაბით, ჩართულია სამინისტროს მიერვე შექმნილ საინტერნეტო ქსელში, რომლის გამართულად მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინოვაციის დანერგვა. ვგულისხმობ პროექტის ყველა მნიშვნელოვანი აქტივობის – ტრენინგებიდან დაწყებული წიგნებით დამთავრებული, ელექტრონული ვერსიების შექმნას და განთავსებას განათლების სამინისტროს ვებსაიტზე. საიტი kargiskola.ge ამ უზარმაზარი მასალის გამოყენებას პროექტის დასრულების შემდეგაც სთავაზობს ნებისმიერ მსურველს – პედაგოგს, მოსწავლეს, მშობელს თუ სხვა დაინტერესებულ პირს. ამისთვის საკმარისი იქნება, თუნდაც პერიოდულად, ინტერნეტის ქონა (ეს პრობლემა ჯერ კიდევ არის რეგიონებში), რომ სრულად ჩამოტვირთონ მათთვის საინტერესო მასალა, მოისმინონ ვიდეოგაკვეთილები, ნაიკითხონ წიგნები და მოისმინონ აუდიოინტერვიუები, გაცნონ აქტივობების ბარათებს კითხვასა და მათემატიკაში და მშობელთა ჩართულობის ბარათებს მცირე ინსტრუქციებითა და რეკომენდაციებით, მრავალფეროვან მენიუს მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისათვის, დირექტორებისა და საქმიანი უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამის მოხალისეებისთვის. დაბოლოს, kargiskola.ge-ს „საკლასო შეფასების“ გამოყენებით მასწავლებლებს შეუძლია შექმნას დიაგნოსტიკური ტესტი კითხვის და მათემატიკის საგნებში, და ტესტირების ჩატარების შემდეგ, აღრიცხოს ქულები და მიიღოს დიაგნოსტიკური ტესტირების ანალიზის ანგარიში მთელი კლასის და ცალკეული მოსწავლის მიხედვით.

kargiskola.ge ჩვენი პროექტის სერიოზულ მიღწევად მიმაჩნია, რადგან ძალიან ეკონომიურია, სკოლას არავითარი ხარჯის გარეშე არ სჭირდება იმისთვის, რომ, მაგალითად, რამდენიმე პედაგოგი შეიკრიბოს და უყუროს ვიდეოგაკვეთილს ქართულში ან მათემატიკაში. ელექტრონული კურსები გათვლილია ჯგუფურ მუშაობაზე, რაც სკოლაში შექმნის კოლეგიალურ, საქმიან ურთიერთობას და რასაც უნდა მოჰყვეს ნაწილის შესახებ დისკუსია, განხილვა. თუ ისინი სერიოზულად მიუდგებიან ამ შეთავაზებას, აუცილებლად გაიზრდება სწავლების ხარისხი და, შესაბამისად, შედეგი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახალი სქემის მიხედვით, ამ აქტივობაში მასწავლებელი კრედიტულდება იცებს.

დამატებით გვსურს ინდივიდუალური ელექტრონული კურსების შექმნა ორი მიზეზის გამო: პირველი, გუნდის მართვას და ფასილიტაციას სჭირდება გარკვეული ცოდნა და უნარი და მეორე, ზოგიერთი მასწავლებლისთვის ინდივიდუალურად მუშაობა მეტად კომფორტული და ნაყოფიერია. დარჩენილ 7 თვეს მაქსიმალურად გამოვიყენებთ ამისთვის და, იმისთვის, რომ შექმნილი სისტემა იყოს მდგრადი და შეძლოს მუშაობის შეუფერხებლად გაგრძელება.

– თქვენი პროექტი, სავარაუდოდ, სექტემბერში დაიხურება. ბუნებრივია, ერთ საგანზე სტატიაში რთულია ყველა იმ აქტივობის განხილვა და აღწერა, რაც ამ პერიოდის განმავლობაში განახორციელეთ და რომელთა მიზანი დაწყებითი კლასებში, ქართულსა და მათემატიკაში მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება იყო. მიაღწიეთ თუ არა მიზანს, შეიცვალა თუ არა უკეთესობისკენ ვითარება ამ მიმართულებით?

– რაც შეეხება შედეგებს – პროექტის აქტივობების დაწყებამდე, საპილოტე სკოლების 1,500-მდე მოსწავლე (და ამდენივე საკონტროლო სკოლების) შევამოწმეთ კითხვასა და მათემატიკაში. მოსწავლეების მხოლოდ 15-დან 20%-მდე რაოდენობამ აჩვენა კარგი შედეგი. ჩვენი საბაზისო შემოწმებით მოსწავლეთა დანარჩენი ნაწილი ქვედა ზღვარზე ან მის ქვევით აღმოჩნდა. გასული წლის მარტში, ჩვენმა დონორმა დაიქირავა სრულიად დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომელმაც შეფასების იმავე მეთოდით, იმავე მოსწავლეებთან ჩაატარა კვლევა იმავე მეთოდოლოგიით. ვიცით, რომ შედეგები უკვე არის, მაგრამ პრეზენტაცია, სავარაუდოდ, აპრილის დასაწყისში იქნება. ასე რომ, საშუალება გექნებათ, პროექტის მუშაობის შედეგები, ჩვენთან ერთად გაიგოთ.

ესაუბრა
ანა ფირცხალაიშვილი



პროფესიული განათლების ახალი მოდელი

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება; კერძო სექტორის მოთხოვნებზე მორგებული პროფესიების ხელმისაწვდომობა; სამეცნიერო კომპეტენციების დაუფლება; სწავლების ძირითადი ნაწილი განხორციელდეს არა კოლეჯში, არამედ სანარმოში; პროცესში აქტიურად უნდა ჩაერთოს დამსაქმებელი, კერძო სექტორი – ასეთია პროფესიული განათლების ახალი მოდელის ძირითადი მიმართულებები, რომელიც საზოგადოებას პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ წარუდგინეს.

განათლების რეფორმა მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. რეფორმების ერთობლიობა, რომელიც მოიცავს ეკონომიკის რეფორმას, განათლების რეფორმას, სივრცით მოწყობას და მმართველობის რეფორმას, ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლას ემსახურება.

განათლების რეფორმის პირველი ბლოკის პრეზენტაცია დამსრე საზოგადოებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გააცნო. სიახლის თანახმად, პროფესიულ განათლებაში გატარდება რეფორმა, რომელიც უზრუნველყოფს დამსაქმებლის ჩართულობით საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, სანარმოო პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერებას და შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიების გამოკვეთას.

რეფორმის შედეგად შესაძლებელი იქნება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (WORK-BASED LEARNING) მიდგომის დანერგვა, როდესაც ძირითადი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სანარმოში, ხოლო თეორიული კომპონენტი, ასევე საკვანძო და საბაზო უნარების მოდულები – კოლეჯში. საჯარო-კერძო პარტნიორობა და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება არა მარტო კურსდამთავრებულთა დასაქმებას შეუწყობს ხელს, არამედ მენარმოების განვითარებასაც.

თამარ სანიკიძე: „საუბარია სისტემურ ცვლილებებზე, რომლის ფარგლებშიც, ნელ-ნელა უნდა გადავიდეთ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმაზე, რაც მნიშვნელოვანი ცვლილება იქნება იმიტომ რომ, სწავლების ამ ფორმის განხორციელება სასწავლო პროცესში დამსაქმებლისა და კერძო სექტორის ჩართვას მოითხოვს. შესაბამისად, საუბარია სამოტივაციო პაკეტების მომზადებაზე იმისათვის, რომ კერძო სექტორი და დამსაქმებელი სრულად იყოს ჩართული პროფესიული განათლების მთელ ციკლში. არა მხოლოდ სტანდარტებისა და პროგრამების შემუშავების ნაწილში, როგორც დღეს გვაქვს, არამედ პროგრამების განხორციელებისა და სწავლების პროცესშიც, რაც ნიშნავს, რომ იმ მიდგომით, რომლის დანერგვასაც ვაპირებთ, სწავლების ძირითადი ნაწილი (60%) უნდა განხორციელდეს არა კოლეჯში, არამედ უშუალოდ სანარმოში, შესაბამისად, პროგრამების განხორციელება და ზოგადად ყველაფერი ორიენტირებული იქნება კერძო სექტორზე, დამსაქმებელზე და შრომის ბაზარზე, მორგებული იქნება მათ მოთხოვნებზე.“

საქართველოს პრემიერ-მინისტრი მიიჩნევს, რომ მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმიდან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი განათლების რეფორმაა. მისი თქმით, პროფესიული განათლების ახალი მოდელი ნიშნავს უფრო მეტ კვალიფიციურ, კონკურენტუნარიან პროფესიონალს და მეტ დასაქმებულს ქვეყანაში. ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი დღეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სამუშაო ძალის არარსებობაა და რომ უმნიშვნელოვანესია სამუშაოს მაძიებელთა კვალიფიკაციის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა. გიორგი კვიციანი იმარტოვს ისაუბრა, თუ რატომ შეიძლება დაინტერესდეს კერძო სექტორი პროფესიული განათლების რეფორმაში მონაწილეობით.

პროფესიული განათლების რეფორმის პროექტი განხილული იყო დონორ ორგანიზაციებთან, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, მომავალ დამსაქმებლებთან და სვეტოს ექსპერტებთან. ისინი ამბობენ, რომ დღევანდელ შრომის ბაზარზე პროფესიულ კადრებზე დიდი მოთხოვნაა. კერძო სექტორის წარმომადგენლები თავად არიან დაინტერესებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დასაქმებით. შესაბამისად, საჯარო და კერძო სექტორის პარტნიორობა, ამ მიმართულებით, ორივე მხარისთვის საინტერესო და წარმატებული იქნება.

გიორგი კვიციანი: „დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა. ვინაიდან მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულების – განათლების მიმართულების პირველ ეტაპს, რომელიც გულისხმობს შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის შექმნას. ეს რეფორმა არა მხოლოდ განათლების სისტემის გაუმჯობესებას, არამედ ქვეყნის განვითარებას მისცემს ძალიან მნიშვნელოვან ბიძგს. ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია თითოეული ახალგაზრდის შესაძლებლობების რეალიზაციაზე.“

დარწმუნებული ვართ, რომ ის გეგმა, რომელიც გავაჩნია და რომელსაც მივყავებით ნაბიჯ-ნაბიჯ – ეკონომიკის გაძლიერება, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული განათლების სისტემა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ინფრასტრუქტურა და მოქნილი, ეფექტური სახელმწიფო მმართველობა – ნამდვილად მისცემს ქვეყანას საშუალებას განვითარების ახალ ეტაპზე გადავიდეს. განათლების რეფორმის პირველი ბლოკი პროფესიული განათლების სრულად ახლებური მოდელია, რომელიც, დამსაქმებელთან ერთად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის პარტნიორობის მოდელზე აგებულ განათლების სისტემას ნიშნავს. ნიშანდობლივია, რომ პირველი, ამ ოთხპუნქტიან რეფორმათა გეგმიდან, წარდგენილია ზუსტად განათლების რეფორმა, რომელიც ვფიქრობ, მართლაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ოთხ მიმართულებას შორის.

ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, რომ სტუდენტების საქმიანი ინიციატივების რეალიზებისთვის მთავრობამ შექმნას შესაბამისი მექანიზმები. სწორედ ამიტომ არის განსაზღვრული „სტარტაპის“ იდეების დაფინანსების ინსტიტუტის შექმნა, რომელიც სტუდენტებს, ახალგაზრდა ინიციატივიან ადამიანებს საშუალებას მისცემს, დააფინანსონ საკუთარი იდეები უკვე ახალ პირობებში, როდესაც არ იქნება ამისათვის საჭირო ჩვეულებრივი საბანკო პროცედურების გავლა. სტუდენტს სწავლის პროცესშივე უნდა ჰქონდეს მომავალ დამსაქმებელთან ურთიერთობის საშუალება.“

კარლო ნატალე, ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე: „მივესალმები წამოწყებულ ინიციატივას. მეტად მნიშვნელოვანი რეფორმა იწყება საქართველოში. ევროკავშირი, წლების განმავლობაში, იყო განათლების რეფორმის ხელშემწყობი დონორი. მიმდინარე პროგრამა ძალიან საინტერესოა და ჩვენ მზად ვართ, ამ რეფორმას შემდგომშიც შევუწყობოთ ხელი.“

ელგაშვილი მელაქი, ბიზნესგაერთიანება საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი: „ეს პროექტი, პრინციპში, განხილული იყო დამსაქმებელთა და ჩვენი მხრიდან მოწონებულია. პროექტი იწყება იმ ევროპულ გამოცდილებას, რომელიც მრავალი წელია არსებობს და რომელმაც გაამართლა. მთავარი პრობლემა, დღეისათვის, საქართველოში, ბაზარზე არსებული ვაკანსიებისა და სამუშაო ძალის მიწოდების შეუსაბამობაა. ეს თემა რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს და სწორედ ამის საუკეთესო მექანიზმებია ჩადებული ამ პროექტში.“

პირველ ეტაპზე საჭირო იქნება ბაზრის კვლევა, რაც დღეს კიდევ კონცეფციაშია. მეორე ეტაპი გახლავთ სტუდენტთა სანარმოო პრაქტიკის ორგანიზება. ყველა მენარმე დაინტერესებულია, გაზარდოს კადრი და შემდეგ საკუთარი ბიზნესის გასაფართოებლად გამოიყენოს. პროექტით გათვალისწინებული მექანიზმი უზუსტად იმას ითვალისწინებს, რაც გვჭირდება.“

ალექსანდრე ეჯიბაძე, საქართველოს პროფესიული განათლების ფონდის გამგებობის თავმჯდომარე: „მთელ რიგ დარგებში არის მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშახელზე, ამავე დროს, საკმაო რაოდენობით გვაქვს უმუშევარი ადამიანები. პარადოქსია, მაგრამ მათი დასაქმება მხოლოდ იმიტომ არ ხდება, რომ იმ უმუშევარ ხალხს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია. მთელ რიგ პროფესიებში, ბოლო 30 წლის განმავლობაში, არცერთი მომზადებულია. ამიტომ ვერც მენარმე ავითარებს სანარმოს, არ ჰყავს მუშახელი. მეორე მხრივ, აშენებულია მშენიერი პროფესიული კოლეჯები, გააზრებულია სასწავლო პროგრამები, სახელმძღვანელოები, შექმნილია ყველა პირობა. საჭირო და აუცილებელიც იყო კოლეჯის მენარმესთან დაკავშირება, რათა პრაქტიკული ნაწილი მთლიანად წარმოებში გადავიდეს და იქ დაუფლონ სტუდენტები ყველა იმ უნარ-ჩვევას, რომელიც შემდგომი საქმიანობისთვისაა საჭირო.“



დღეისათვის, პროფესიული პროგრამები, მთელი საქართველოს მასშტაბით, 34 სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებაში ხორციელდება. სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში 7100 პროფესიული სტუდენტი სწავლობს. მათ განათლებას სრულად აფინანსებს სახელმწიფო. სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში 100-ზე მეტ პროფესიულ პროგრამაზე ხდება მიღება.

სულხან ქიმერიძე, პროფესიული სტუდენტები: „ავირჩიე მიმი სამშენებლო ტექნიკის ოპერატორობა. საუკეთესო სწავლება გვაქვს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული. სიმულატორებთან ვმუშაობთ და ისეთივე შერძენება გვაქვს, როგორც ცოცხალ ტექნიკასთან შეხებისას. ავვისტოში დაგვეწყება სანარმოო პრაქტიკა.“

კოლეჯებში, თეორიული სწავლების პარალელურად, მიმდინარეობს პრაქტიკული გაკვეთილები. სასწავლო პროგრამის ბოლო ნაწილი კი უშუალოდ რეალურ სანარმოში სტაჟირება, სანარმოო პრაქტიკაა. კოლეჯები ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებს აფორმებენ კერძო სექტორის წარმომადგენლებთან. შედეგად, პროფესიული სტუდენტების სანარმოო პრაქტიკას გადიან და, ხშირ შემთხვევაში, საქმედებიან კიდევ ამ კომპანიებში.

სანამ სახელმწიფო პროფესიული განათლების რეფორმას განახორციელებს, კოლეჯებს თავად, ინდივიდუალურად უნებთ სხვადასხვა კომპანიებთან მოლაპარაკება. ერთ-ერთი ასეთი მოლაპარაკების შედეგად, კოლეჯმა „სპექტრი“ საკუთარ სტუდენტს, **ლამა მჭედლიძეს,** რომელმაც ელექტროკოსის პროფესია შეისწავლა, სანარმოო პრაქტიკა კომპანია „ჯეოტექნიკაში“ გაატარა, სადაც ლამა, უკვე ერთი წელია, შტატიანი თანამშრომელია. ამბობს, რომ 35 წლის ასაკშიც არ არის გვიანი, გაიარა გადაზადება და გახდა პროფესიონალი. „პროფესიული განათლება საუკეთესოა იმისათვის, რომ მეტად განვითარდე, წინსვლა გქონდეს და ევროპულ დონეზე შეასრულო ის სამუშაოები, რომელსაც დღესდღეობით ითხოვს ჩვენი ბაზარი. პროფესიული სასწავლებელი არის ერთადერთი ხელშემწყობი იმისა, რომ უშუალო კავშირი გქონდეს და დავსაქმდეთ იმ კომპანიებში, რომლებშიც ლიდერები არიან ბაზარზე სანტექნიკის, შიდა კომუნიკაციების, ელექტრობის თუ სხვა მიმართულებით. ვაძლევს შანსს, პროფესიულად განვითარდეთ და დავსაქმდეთ დიდი და განვითარებული კომპანიებში.“

გიორგი ჩხარტიანი, „ჯეოტექნიკის“ აღმასრულებელი დირექტორი: „დაახლოებით ორი წელია, რაც კოლეჯ „სპექტრთან“ და ვინაი ურთიერთობა. განვახორციელეთ საკმაოდ დიდი ინვესტიცია კოლეჯში, რაც გულისხმობდა თანამედროვე აპარატურის შეტანას, დანერგვას და ახალი სპეციალობის განვითარებას – მინისქემა კომუნიკაციების სისტემების მშენებლობა, რაზეც ჩვენი კომპანია ორიენტირებულია. როგორც ყველა კომპანია და კერძო სექტორის წარმომადგენელი, ჩვენც კვალიფიციური კადრების საკმაო დეფიციტს განვიცდით, თუმცა ყველანაირად ვცდილობთ, გავაღრმავოთ სტუდენტებში ცოდნა, ავუმალლოთ კვალიფიკაცია. მაგალითად „სპექტრთან“ ჩვენთან 20 სტუდენტია უკვე დასაქმებული. მთელი საქართველოს მასშტაბით ვინაი გრანდიოზულ სამუშაოებს და მეტი კადრი დაგვჭირდება, რისთვისაც უფრო მეტ თანხას ჩავდებთ განათლებაში.“

პროფესიული კოლეჯებისა და კერძო ბიზნესის თანამშრომლობა, ამ დრომდე, ინდივი-

დუალური ხელშეკრულებების საფუძველზე ხდებოდა. დაგეგმილი რეფორმის შედეგად კი, სისტემური მიდგომა დაიწყება. დამსაქმებლის ჩართულობა მნიშვნელოვნად გაიზარდება, ასევე გამოიკვეთება შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიები.

პროფესიული განათლების რეფორმის გეგმა, რომელიც პრემიერმა, განათლების მინისტრთან ერთად, საზოგადოებას წარუდგინა, მომავლის ნაწილია და საბოლოო სახე 2017 წელს უნდა მიიღოს. დღეისათვის კი, საქართველოში, 80-ზე მეტი კერძო კოლეჯი და 34 სახელმწიფო სასწავლებელია, სადაც პროფესიული პროგრამებით ასწავლიან. ერთ-ერთი ასეთი ტექნიკური, საინჟინრო მიმართულების მქონე კოლეჯია „სპექტრი“. როგორც კოლეჯის დირექტორი **მათე ტაკიძე** ამბობს, ბოლო პერიოდში პროფესიონალ კადრებზე მოთხოვნა იმდენად გაიზარდა, რომ თავად კერძო კომპანიები დებენ ინვესტიციებს პროფესიულ სასწავლებლებში და ტექნიკურ აღჭურვას ახორციელებენ. შედეგად, მისი სტუდენტები ამავე კომპანიაში საქმედებიან. „კერძო სექტორთან ურთიერთობა ჩვენთვის მნიშვნელოვანია. განსაკუთრებით ბოლო წლების განმავლობაში, ეს ძალიან აქტუალური გახდა. ბევრ კომპანიასთან ვთანამშრომლობთ და ძალიან წარმატებით. უფრო მეტსაც ვიყვი, ბევრი კომპანია ჩვენთან მუშაობს არა მხოლოდ სხვადასხვა სახის მემორანდუმზე, არამედ გარკვეული ტიპის ინვესტირებით და ბევრმა მათგანმა კოლეჯის განვითარებაში უსერიოზულესი როლი შეასრულა. მაგალითად, როგორც ინვესტირება, განხორციელდა თანამედროვე ტექნოლოგიური ლაბორატორიების მოწყობა, ასევე პედაგოგების გადამზადება, ლიტერატურის დაბეჭდვა, უცხოეთში მივლინებები და უცხოელი ექსპერტების ჩამოყვანა ადგილზე, რაც უმნიშვნელოვანესია პროფესიული სექტორის განვითარებაში.“

სულ უფრო და უფრო იზრდება მოთხოვნა პროფესიულ კადრებზე, მოთხოვნას და მიწოდებას შორის გარკვეული დისბალანსია. საქართველოში მოთხოვნადი გახდა, მაგალითად, სამშენებლო ტექნოლოგიური მიმართულებების მუშახელი. პრემიერ-მინისტრის დღევანდელი ინიციატივა უმნიშვნელოვანესი იყო. ეს არის გრძელვადიანი პერსპექტივა მდგრადობის, რაც ბიზნესს უხსნის ხელს, რომ მოვიდნენ და პროფესიული განათლების სექტორში ჩაღონ გარკვეული ინვესტიცია. ასე რომ, ძალიან კარგი დასაწყისია და პროფესიული განათლების სექტორის განვითარებისთვის გადაგებული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.“

პროფესიული განათლების რეფორმის გეგმის წარდგენისას პრემიერ-მინისტრმა, კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობასთან ერთად, მათ მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში სახელმწიფოს ჩართულობაზეც ისაუბრა. სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებსა და ბიზნეს სექტორს შორის ერთგვარი მედიატორის როლს შეასრულებს, რათა მომავალი კადრები ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად მომზადდნენ.

პროფესიული განათლების პროგრამა, მთავრობის გეგმის მიხედვით, 2017 წლიდან უნდა ამოქმედდეს. კოლეჯის ხელმძღვანელები ფიქრობენ, რომ ამ რეფორმის ფარგლებში, ის, რასაც კომპანიებთან ურთიერთობისას ინდივიდუალურად აკეთებდნენ, უკვე სისტემურ სახეს მიიღებს.

მომზადდა ლალი თვალავაძის მიერ

თვალსაზრისი

როგორი მასწავლებლები გვყავს

უპირველესად, დავასაბუთებთ, რომ სკოლის მასწავლებელთა შიხსაზე ჩვენ ანგარიშგასაწავი სიტყვა გვეთმის. ჩვენი კავშირი „ქოჩუდა“ არის საბარტოველი პირველი არასამთავრობო ორგანიზაცია განათლების მიმართულებით (დაარსდა 1992 წელს). 25 წლის განმავლობაში ვმუშაობთ მასწავლებლებთან, ჩატარებული გვაქვს: ტრენინგები 4000-ზე მეტი მონაწილისთვის; ტესტირებები 1500-ზე მეტი მონაწილისთვის; გაკვეთილზე დასწრებაები და ამ გაკვეთილების ანალიზები - 1000-ზე მეტი მასწავლებლისა (გაკვეთილზე დასწრებათა დიდი უმრავლესობა აშშ-ს პროექტის, „ჯიპრა-ილის“ ფარგლებში მოხდა; ხოლო ტრენინგების უმრავლესობა - პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალ პროფესიონალთა მრავალწლიანი პარტნიორული თანამშრომლობით); შექმნილი და გამოცემული გვაქვს 40-ზე მეტი ნოვატორული სახელმძღვანელო და ტესტების კრებული, მათი გამოყენებით მოსწავლეების ცოდნისა და უნარ-ჩვევების საშუალო დონე დაახლოებით 50%-ით იმატებს (როდესაც ყველა სხვა პირობა და ვითარება უცვლელია). რაპი არასამთავრობო ორგანიზაციებს სახელი გატანილი აქვთ, იმასაც დაუშვებთ, რომ ჩვენი კავშირი ქართული, ეროვნული სულისკვეთებისა და მთავარ მიზნად ჩვენი სახელმწიფო წინაპრების საქმის ღირსეული გაგრძელება დაგვისწავს (ამიტომაც არ გვაქვს ბრანდები და ვებსაიტის მომსახურების თანხის შოვნაც კი გვიჭირს).

1. შიხსაზე

აღმამშობელია ის ზერედე, უპასუხისმგებლო, ქედმაღლიანი საჯარო გამოხდომები, რომლებიც ხშირია მასწავლებლის მისამართით. ისინი (რომც სრული სიმართლე იყოს), დანაშაულის ტოლფასია - იმდენსაც კი ვერ ხვდებიან, რომ ამით ყველაზე მეტად საქართველოს მომავალს - მოსწავლეებს, მათ შორის საკუთარ შეილებსა და შვილიშვილებს აზარალებენ - სამწუხაროდ, ბავშვებს ისედაც აცრუებული აქვთ გული სწავლაზე და მასწავლებელთა ასეთი დამცირების შემდეგ რაღა იქნება?! მოზარდი ხშირად საბავს ეძებს, რომ სიზარმაცე გაამართლოს და შენიღობოს. ან კლასში მისი ყოფილი როგორ იქნება?! შეგნებული ადამიანი, სანამ რამეს იტყოდეს საჯაროდ, ჯერ იმას უნდა აფასებდეს, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვებოდეს მის ნათქვამს. „კაცს კბილები (გონება) იმისთვის აქვს, რომ როყიო სიტყვა მოძებნოს“.

ახლა დავუშვათ, რომ ის აზრები არასაჯაროდ, მხოლოდ ვინაობა წრეში გამოითქვა. მაინც ზერედე, მიკერძობული და მეტნილად მცდარია. საუბედუროდ, განათლების მეცნიერება საზოგადოებას დაბალ ლობედ იჭყენება, უმაღლესდამთავრებულთა ნახევარი თავს განათლების ექსპერტად მიიჩნევს და ჰგონია, რომ სიტყვა ეთქმის განათლებზე. ჩვენთვის რომ შურსმიღობს ეკითხა, რა აზრისა ხართ ამა თუ იმ ქიმიურ ტექნოლოგიასზე, რას ვუპასუხებდით? - რომ ამ საქმისა არაფერი გავგებება და ამიტომ თავს ვიკავებთ უპასუხისმგებლო და უსაფუძვლო დებულებებისგან. ხოლო ვისაც განათლების მეცნიერება ქიმიურ ტექნოლოგიასზე უფრო ადვილი საქმე ჰგონია, ის უბრალოდ გაუნათლებელი ადამიანია. სამწუხარო კი ისაა, რომ ათწლეულთა განმავლობაში მრავალი ასეთი ვაისპეციალისტი განათლების დარგის საპასუხისმგებლო ხელმძღვანელ თანამდებობაზეა და მთავარი დამნაშავე იმაში, რომ ჩვენი განათლების სისტემა განუხრელად უკან-უკან მიდის და ცდილობენ, თავიანთი დანაშაული მასწავლებლებს გადააბრალონ.

ქართველებს აურაცხელი ბრძნული ანდაზა გვაქვს. ერთი გვასწავლის: რაც ერი, ის ბერიო! ხოლო სახარება გვასწავლის, რომ სანამ სხვის თვალში წველს დაინახავ, მანამ საკუთარ თვალში ღირე დაინახეო.

2. შიხსაზე მასწავლებელთა არასაკმაბრის პროფესიონალიზმი

ჩვენი განათლების სისტემის სავალალო მდგომარეობა არა მასწავლებელთა, არამედ განათლების სამინისტროს და მთელი მისი სისტემის ბრალია. მასწავლებელთა უმრავლესობა, სხვებთან შედარებით, უფრო ნივნის მოყვარული და გაცილებით ბეჯითია (უამისოდ მასწავლებლად ვერ გაძლებდა). მათთვის რომ წესიერად ესწავლებინათ, ისწავლიდნენ. მათი ზოგადი და პროფესიული უნარ-ჩვევები რომ სათანადოდ განეხილათ, განვითარდებოდნენ. და ვინაა დამნაშავე იმაში, რომ არ ასწავლეს? რომ უმაღლესი მასწავლებლები წყალს ნაყავდნენ? რომ სახელმწიფო ფარატიანი დიპლომებს ანიჭებდნენ აკრედიტაციას? რომ მისაღებ გამოცდებზე ამჟამადაც ისეთი დაბალი ბარიერებია, რომ ბარიერი, არსებითად, არც კი არსებობს? (მსოფლიოში სადმე თუ არის 27%-იანი ბარიერი ზოგად უნართა ტესტში? ადრე კი სულაც 18% იყო, მაშინ როდესაც პასუხების აკრედიტაცია შემოახვიტო საშუალოდ 21% კომპლექსი); რომ ამჟამინდელ

უმაღლესდამთავრებულთა საშუალო პროფესიული დონე კიდევ უფრო დაბალია, ვიდრე არსებულ მასწავლებელთა საშუალო დონე? რომ უმაღლესი განათლება ფულის საკეთებელ დახლადაა ქცეული? რომ თვით სასერტიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი ტესტების კრებულს, რომლის დასტამბავაც სამინისტროს 1 ლარი უჯდება, მასწავლებლებს არათუ არ სჩუქნიან, არამედ ხუთმაგ ფასს ართმევენ და ამამიც ფულს აკეთებენ?..

განვიხილოთ კონკრეტული მაგალითები. ახალგაზრდა ისე დაამთავრებდა ფილოლოგიის ფაკულტეტს წინათ (და ახლა - კიდევ უფრო უარესია), რომ ერთხელაც კი არ გაუვარჯიშებდნენ იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ყველა ფილოლოგისთვის უპრობლემია: 1) ტექსტის ნაკითხვა-გააზრება, რეზიუმირება, კრიტიკული ანალიზი, დასკვნების სინთეზი. 2) ტექსტის გასწორება-რედაქტირება, სტილისტიკური დახვეწა, აზრობრივი გამართვა, მორფოლოგიურ-სინტაქსური თუ სხვაგვარი შეცდომების კლასიფიკაცია. 3) აზრის კარგად ჩამოყალიბება, ანუ ხარისხიანი ტექსტის მომზადება მოცემულ თემაზე, არგუმენტაცია, რიტორიკულ საშუალებათა გამოყენება. ასევე, მათემატიკის მომავალ მასწავლებელს არაფერი ასწავლიდა სასკოლო მათემატიკის დაფუძნების საკითხები, არაფერი უფითარებდა სასკოლო მათემატიკის ცნებათა გააზრებისა და სისტემური ურთიერთდაკავშირების უნარ-ჩვევებს, არ ავარჯიშებდნენ კონკრეტული თემების სწავლების ნაყოფიერი მეთოდების მიმართულებით (თანამედროვე ვინ ჩივის - თუნდაც ძველებურად). სამაგიეროდ, ყველა ფაკულტეტზე სტუდენტებს უნდა ჩაებარებინათ მრავალი გამოცდა მათთვის სრულიად უსარგებლო საკითხებზე. მაგალითად, ქართულის მასწავლებელს არაფერში არ სჭირდება არაბული, ლათინური თუ ბერძნული ენები (და არც არავის ახსოვს), ხოლო მათემატიკის მასწავლებელს - დიფერენციალური განტოლებები (და არც არავინ იცის). მაგრამ ამას დაწყებითი კლასების მასწავლებლებსაც კი „ასწავლიდნენ“ (ანუ გამოცდებს „აბარებინებდნენ“). ცხადია, „ნასწავლი“ უკვალოდ იკარგებოდა რამდენიმე თვეში, ხოლო სკოლაში თითქმის სრულიად მოუმზადებელი ახალგაზრდა მიდიოდა. ამჟამადაც დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა კი კიდევ უფრო მოშლილი და უხარისხოა, ვიდრე უმაღლესი განათლების სისტემა. არა მარტო პროფესიული უნარ-ჩვევები არ ვითარდება, არამედ იმ უსარგებლო გადატვირთული სასწავლო პროგრამებისა და უდაბლესი ბარიერების გამო ახალგაზრდებმა უბრალო საერთაშორისო ტერმინებიც კი აღარ იციან (რას ნიშნავს, მაგალითად, თავსართი FE- ან ტერმინი „სემანტიკა“). ვინ ავებს პასუხს ყოველივე ამზე - თუ არა სახელმწიფო, კერძოდ კი სამინისტრო? მასწავლებლობა ხომ სახელმწიფო რეგულირებადი პროფესიაა. რეგულირებადი მარტო გამოცდების ჩატარებზე არ დაიყვანება. ჯერ უნდა ასწავლო, რათა მერე გამოცდაო.

2016 წლის იანვარში სასერტიფიკაციო გამოცდებზე უფრო უარესი შედეგები იყო, ვიდრე წინა გამოცდებზე. ამას კი სულ უბრალო ახსნა აქვს: განათლების სისტემა იანვარში სავალალოდ (ცენტრებში წესიერი გათბობაც კი ვერ უზრუნველყო; გათბობილი ხელებითა და გათბობილი გონებით მუშაობა 5 საათის განმავლობაში კი ძალიან ძნელია (თვითონ თანამდებობის პირები რამდენ ხანს გაძლებდნენ ასეთ პირობებში? - ზამთრობით სამინისტროში შემანუხებლად ცხელა ხოლმე). ზოგან მასწავლებლები გა-

მოცდაზე 1-1,5 საათის დაგვიანებით შეიყვანეს, ანუ იანვრის დილას, ქარსა და ყინვაში, ქუჩაში და გაურკვეველობაში ფეხზე აყურყურეს ასეულობით მასწავლებელი (მრავალ მათგანს ჯანმრთელობაც მიმე მდგომარეობაში ჰქონდა). და ამის შემდეგ როგორ იმუშავებდა რთულ 5-საათიან ტესტზე დილიდანვე დალილი, შემცივებული და გაღიზიანებული ადამიანი? ამ ყოველივეს მიუხედავად, 1-2 ქულაც კი არ მიუმატეს მათ, თუმცა წესიერ პირობებში ისინი ალბათ 4-5 ქულით მეტს მაინც მიიღებდნენ.

კანონით, მასწავლებელს უფლება აქვს, რომ სახელმწიფოსგან კომპენსაცია მოითხოვოს აკრედიტებულ სახელმწიფო სასწავლებლებში უზარისხო სწავლებით მიყენებული ზიანისთვის. ანდა გაპროტესტოს განუწყვეტელი არაადამიანური დამოკიდებულება მის მიმართ. მას კი იმასაც არ აკმაბრებენ, რომ სკოლის მანდატურზე ნაკლებ ხელფასს უხდიან - და კიდევ ამცირებენ და შეურაცხყოფენ. და კიდევ უზომო, საშიშელი, ყალბი ბიუროკრატით ტვირთავენ და ამას „მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემას“ უწოდებენ.

სამინისტრო იმაზეც კი არ ზრუნავს, რომ მასწავლებელს გამოცდისთვის მოსამზადებლად დრო მისცეს. სასწავლო სემესტრი მასწავლებელს ძალიან ღლი (საერთაშორისო კვლევების თანახმად, მასწავლებლობა ყველაზე სტრესულ პროფესიათა სამეულშია - ექიმობასა და პოლიციელობასთან ერთად), სასწავლო სემესტრის ბოლო კი უარესია - ბიუროკრატითაა გადატვირთული. ამის შემდეგ მასწავლებელს დასვენების დროსაც კი არ უტოვებენ, რამდენიმე დღეში გამოცდაზე უნდა გავიდეს. სულაც 3 იანვარს გამოცდა შეიძლება? ჭეშმარიტად ამაზე ნათქვამი „სხვისი ჭირი - ღობეს ჩხირიო!“ ეს ჩვეულებრივი ეგოიზმია - ნაცვლად იმ პატივისცემისა და ზრუნვისა, რომელსაც მასწავლებელი სახელმწიფოსგან იმსახურებს. ადამიანურ ხელფასს ვერ უხდი, მაგრამ მოეპყარი მაინც ადამიანურად და პირობები მაინც შეუქმენი ადამიანური! რათა ადამიანურად ნელში გამართულმა პიროვნებამ აღზარდოს ჩვენი მომავალი - და არა უსამართლობით გადაქანცულმა და ყველაფერზე ხელჩაქეულმა.

სანამ ჩხორწყუს რაიონის ქიმიის მასწავლებელს მოსთხოვენ გლუმის ტაძრობის ცოდნასა და გამოყენებას, მანამ ამავე კომპანეციას რატომ არ მოითხოვენ ქიმიის სახელმძღვანელოს ავტორებისგან და ქიმიის ტესტების შემდგენლებისგან? რატომ არ დანდას საბავლავულო ტესტირება ყველა იმ პირისთვის, ვისაც წნისთ მასწავლებელზე გაცილებით მეტად სჭირდება და მოითხოვება პროფესიული კომპეტენციები როგორც საკუთარ დარგში, ისე სწავლების მეთოდიკასა და განათლების ფსიქოლოგიაში? როგორ შეიძლება სასკოლო საგანმანათლებლო სტანდარტები ან სახელმძღვანელო შეადგინოს იმ პირმა, რომელმაც პიაფეს თეორიის საწყისებიც კი არ იცის? და თუკი იცის, მაშინ რატომ გაურბის გამოცდას?

3. საბარტოველი განათლების სისტემის ნამდვილი შედეგები

ქართველებს მე-3 საუკუნეში უკვე რიტორიკული სკოლა-აკადემია გვქონდა, ჩვენი მწერლობა და ფილოლოგია მსოფლიოში უმაღლეს დონეზეა, 21-ე საუკუნეში კი ჩვენი მოსწავლეების საშუალო შედეგები ნივნიერებაში მსოფლიოს უკანასკნელ 20%-შია (ისეთი სახელმწიფოების გვერდით, რომლებსაც ნივნიერების 100-წლიანი ისტორიაც კი არა აქვთ). ყოფილი სსრკ-ს ყველა რესპუბლიკა (რომელიც კი საერთაშორისო ტესტირებებში მონაწილეობს) ჩვენზე წინაა. ასევეა მათემატიკაშიც, თუმცა ჩვენ მსოფლიოში მონიხნავთ ათეულობით მათემატიკოსი გვყავდა და ამჟამადაც გვყავს. ასევე უმაღლესი დონისაა საქართველოს პედაგოგიკური ფსიქოლოგია (და საზოგადოდ ფსიქოლოგია). მაშ რა უბედურება გვჭირს? პასუხი მარტივია: **კორუფცია**. საქართველოში მრავალი მთავრობა შეიცვალა, მაგრამ ერთი უგვირგვინო უცვლელი მეფე გვიხის - მისი უდიდებულესობა კორუფცია (ვაზუსტებთ: კორუფცია არაა მხოლოდ მექრთამეობა, არამედ უფრო ფართო ცნებაა, მოიცავს აგრეთვე ნაცნობობით „ჩანყობას“, ნეპოტიზმს, პოლიტიკურ თუ ძმაბიჭურ კლანურობას, კონკურსების ეტაპების გაყალბებას, პირადი სიმპათია-ანტიპათიით - და არა საქმის ინტერესებით - შერჩევას და სხვა). მექრთამეობა საქართველოში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში, ყაზახეთში თუ სომხეთში, მაგრამ კორუფცია - გაცილებით მეტია. ანუ ჩვენი საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არაპროფესიონალების წილი კაციკი და ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ არათუ

ბალტიისპირეთი და რუსეთი, არამედ ყაზახეთი და სომხეთი იმდენად გვისწრებენ მოსწავლეთა საშუალო მიღწევებით, რომ ჩვენი მთელი სახელმწიფოს უდიდესი გამარჯვება იქნება, თუკი 20 წელიწადში დავეწვებით მათ.

ყოველსომცველი კორუფცია ამკარავს: სანამ საწყალ მასწავლებლებს - დაბალ ლობეს - ეტყერებოდნენ, იმავე ტესტებით რატომ არ ჩაუტარეს სასერტიფიკაციო ტესტირება მაღალ ლობეს? ანუ - სამინისტროს ექსპერტებს და არასამთავრობო ექსპერტებს (ვისაც განათლების ექსპერტად მიჩნია თავი), მასწავლებელთა მწვრთნელებს, და, რაც მთავარია, სახელმძღვანელოთა ავტორებს და თვით ტესტების შემდგენლებს (თავდაპირველად, მაგალითად, უცხოელთა მიერ შედგენილი ტესტებით)? სანამ ჩხორწყუს რაიონის ქიმიის მასწავლებელს მოსთხოვენ გლუმის ტაქსონომიის ცოდნასა და გამოყენებას, მანამ ამავე კომპენსაციას რატომ არ მოითხოვენ ქიმიის სახელმძღვანელოს ავტორებისგან და ქიმიის ტესტების შემდგენლებისგან? რატომ არ დანდას საბავლავულო ტესტირება ყველა იმ პირისთვის, ვისაც წნისთ მასწავლებელზე გაცილებით მეტად სჭირდება და მოითხოვება პროფესიული კომპეტენციები როგორც საკუთარ დარგში, ისე სწავლების მეთოდიკასა და განათლების ფსიქოლოგიაში? როგორ შეიძლება სასკოლო საგანმანათლებლო სტანდარტები ან სახელმძღვანელო შეადგინოს იმ პირმა, რომელმაც პიაფეს თეორიის საწყისებიც კი არ იცის? და თუკი იცის, მაშინ რატომ გაურბის გამოცდას?

*მოდი, ასე ვაგაკეთოთ -
სამართლით და გატოლებით:
ჯერ მინისტრი ვატესტიროთ,
მერე - ტესტის ავტორები
[გიზო ჭელიძე].*

ტესტირება რომ დანესებულიყო (რაც ჩვენი განათლების პროფესიონალთა ერთად, მრავალჯერ მოვითხოვეთ სასერტიფიკაციო გამოცდების პირველი მომზადების წლებში - 2009-2010 წლებში), გარწმუნებთ, რომ იმ პირთა სულ მცირე ნახევარი ჩაიჭრებოდა; ხოლო ღირსეული ნაწილი ადვილად ჩააბარებდა გა-

მოცდას და ოფიციალურად სერტიფიცირებული იქნებოდა. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული, სამინისტროს სისტემის მიერ ჩატარებული ტრენინგების დიდი ნაწილი (ცხადია, არა ყველა) იმდენად უხარისხოა, რომ მათზე მასწავლებლები ძალით მიჰყავთ. ასე იმიტომბა, რომ ტრენინგების ხარისხის „უზრუნველყოფა“ (ისევე როგორც საზოგადოდ განათლების ხარისხის უზრუნველყოფა) ბიუროკრატიაზეა დაყვანილი. აბსურდია, მაგრამ ფაქტია: სამინისტროს (ისევე როგორც მრავალ არასამთავრობო ორგანიზაციას) თავისი მწვრთნელებისთვისაც კი არა აქვს დანესებული სავალდებულო სერტიფიცირება და ხშირად სასერტიფიკაციო გამოცდებზე ჩაჭრილი პირები უტარებენ ტრენინგებს მასწავლებლებს. ჩვენ კი 2010 წელსვე დავანესეთ ჩვენი მწვრთნელების სავალდებულო სერტიფიცირება და უკვე 2010-2011 წლებში ჩვენი ყველა მწვრთნელი სერტიფიცირებული იყო; „ქორბუდა“ იყო ერთადერთი ასეთი ორგანიზაცია საქართველოში და სწორედ ჩვენ არ გვადირსა სამინისტრომ აკრედიტაცია ტრენინგების ჩასატარებლად (და იმ ბიუროკრატის მოსამზადებლად და სახელმწიფო ბაჟის რამდენიმე ათასი ლარი წყალში გადაგვეყარა); თუმცა კი მინიჭა აკრედიტაცია ათეულობით სხვა ორგანიზაციას (აი, ესაა კორუფციის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი). კიდევ უარესი: სასერტიფიკაციო ტესტებში ხშირად ისეთი შეცდომებია, რომლებიც კარგ მასწავლებელსაც (ზოგჯერ - კარგ აბიტურიენტსაც) კი არ ეპატიება (სხვადასხვა დარგის ტესტები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან - ზოგი თითქმის უნაკლოა, ზოგი კი - ძალიან უხარისხო). ხოლო ამ ტესტების პასუხების ფორცლებზე შემოახვიტო და აპულაციაში კი ისეთი „ლოტოტრონია“, ისე უაბელა-

თვალსაზრისი

ციოდ ათამაშებენ ქულებს, ანუ ათასობით მას-
ნაველების ცხოვრების ბედსა და ღირსებას,
რომ ამის ნახევარსაც კი რიგითი სკოლის დი-
რექტორს არ აბატიებდნენ (ჩვენ მრავალი დო-
კუმენტი გვაქვს ყოველივე ამის დასამტკიცებ-
ლად). და ყოველივე ამის შემდეგ მაინც მასნა-
ველებზე სურთ ჯოხის გადატეხა.

4. საქართველოს განათლების
სისტემის „მიღწევა“

ჩვენი საზოგადოება მთარული აზრით იმპე-
რატორს თავს: რომ ჩვენი ცალკეული მოსწავლეები
საუკეთესო შედეგებს აღწევენ უცხოეთში და
გვასახელებენ. ეს მართალია, მაგრამ ამ ფაქტ-
ების გადაფასება აგრეთვე არასაკმარისი განათ-
ლების მარკეტინგულია. 21-ე საუკუნეში განათ-
ლებულ ადამიანს იმდენი წარმოდგენა მაინც
უნდა ჰქონდეს სტატისტიკაზე, რომ საშუალო
დონე დიპლომისგან განარჩიოს. დაეუფალოს,
ჩვენი საუკეთესო მოსწავლეების 5% არაფრით
ჩამოუვარდება მსოფლიოში უმაღლესი შედე-
გების მქონე სახელმწიფოთა (მაგალითად, ფი-
ნეთის, ბრიტანეთის, ბალტიისპირეთის, რუსე-
თისა თუ ჩინეთის) საუკეთესო მოსწავლეების
5%-ს. მაგრამ აქედან არაფრით დავსკვნის გა-
მოტანა არ შეიძლება საშუალო დონეზე. ჩვენი
საშუალო დონე უსაშველოდ დაბალია. ხოლო
განათლების სისტემის სახე – ესაა არა საერთა-
შორისო ოლიმპიადებში თუ ფესტივალზე გამარ-
ჯვებული რამდენიმე ახალგაზრდა, არამედ
მთელი ახალგაზრდობის საშუალო მაჩვენებ-
ლები. ეს კი განუხრელად ქვეითდება სულ მცირე
40 წლის განმავლობაში (მოსწავლეთა პირ-
ველი ტესტირება ჩვენ 1989 წელს ჩავატარეთ
და მას შემდეგ პერიოდულად ვატარებთ). გა-
მორჩეული ახალგაზრდების მიღწევები დამსა-
ხურება არა განათლების სისტემისა, არამედ
მათი ნიჭისა, ოჯახისა თუ ცალკეული გამორჩე-
ული მოსწავლეებისა. სხვათა შორის, მცდარია
საზოგადოებაში მოარული კიდევ ერთი აზრი –
რომ საბჭოთა განათლების სისტემა კარგი იყო.
მართალი კი ისაა, რომ ამჟამადა უარესი
მდგომარეობა, მაგრამ უარესზე უკეთესი არაა
მინცვადავინც კარგი.

სხვათა შორის, იგივე სტატისტიკა მთელი
საქართველოს სახელმწიფოს სურათს ასახავს.
მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს
არ ჰყოლიათ იმდენი და ისეთი უმაღლესი დო-
ნის მწერლები, მეცნიერები, მოღვაწეები, რე-
ჟისორები თუ პოლიტიკოსები, როგორებიც
ჩვენ გვყავდა. მაგრამ ბალტიისპირელებმა სა-
მოქალაქო დემოკრატიული სახელმწიფო
ააგეს და ააწვეს, ჩვენ კი – ვერა. ეს იმიტომაა,
რომ სახელმწიფო ემყარება არა გალაკტიონ
ტაბიძეს, დიმიტრი უზნაძეს, რობერტ სტურუ-
ას, ილია ვეკუას, ელისა ვორსალაძესა თუ ნო-
ნა გაფრინდაშვილს, არამედ მოქალაქეთა იმ
საშუალო 50%-ს, რომელიც სახელმწიფო შე-
გნებასა და ნორმალურ პროფესიონალიზმს
ფლობს, რომელმაც კარგად იცის თავისი საქ-
მეც და რიგში დგომასაც კულ-
ტურა სჭირდება) – ანუ კანონის პატივისცემა;
და კიდევ – ცოტათი მაინც აქვს უანგარო პატ-
რიოტიზმი, რომლის გარეშეც არც ერთი სა-
ხელმწიფო არ დანინაურებულა. ჩვენ კი უპირ-
ველესად სწორედ პატრიოტიზმი უვალკია
(სასკოლო განათლება ამ მხრივაც დანაშაულს
ჩადის); ესე იგი სახელმწიფოს მომავალი სწო-
რედ იმ საშუალო მოსწავლეს ემყარება, რომ-
ლის შედეგებიც ჩვენში სავალალოდ დაბალია.

5. როგორ პირობებში მშუალო
მასწავლებელი

მასწავლებელს ტემის, რომ სახელმწიფოს
უჭირს და მანდატურზე (ხშირად კი სკოლის
დამლაგებელზე) ნაკლები ხელფასით მუშაობს.
მრავალი წლის განმავლობაში თითქმის უხელ-
ფასოდ მუშაობდა გათბობის გარეშე დარჩენილ
საკლასო ოთახებში; სკოლა იყო ერთადერთი
მასობრივი საჯარო დაწესებულება, რომელიც
სახეს უნარჩუნებდა სახელმწიფოს. ამის სანაც-
ვლოდ კი სახელმწიფოსგან „სხვისი ჭირი – ლო-
ბეს ჩხირი“ მიიღო. ხელფასს არ გვეულისებობთ.
ჩვენ ის კი არ უნდა გვიკვირდეს, რომ მასწავ-
ლებელთა 70% არაა სერტიფიცირებული, არა-
მედ ის, რომ 30 რატომღაც სერტიფიცირებული;
საზოგადოდ, საიდან, როგორ და რატომ გვყავს
კარგი, ან სულაც საშუალო მასწავლებლები. სა-
იდან, როგორ და რატომ გვყავს ამდენი კარგი
დირექტორი; რატომღაც, რომ დირექტორებისა
და მასწავლებელთა დიდი უმრავლესობა გულ-
თბილად ექცევა თავხედ, უზრდელ მოსწავლე-
ებს, რომლებსაც საკუთარი ოჯახის წევრებიც
კი ვერ მართავენ. როგორ ახერხებენ, რომ თა-
ნამედროვე ცივილიზაციით მახინჯურად აღ-
ზნებულ და ეკრანზე მიჯაჭვულებით განვითარ-
ებაშეფერხებულ, დედის სიახლოვის ნაკლებ-

ბობითა და მამის ავტორიტეტის შეზღავნებით
დათრგუნულ 30-მოსწავლიან კლასში სწავლე-
ბისმაგვარ პროცესს ახორციელებენ? და თან –
უფარვის სახელმძღვანელოებით. და რად უჯ-
დებათ ეს – ვინმე თუ ინტერესდება ამით? მას-
წავლებელს მშვიდად ნახემსებისა და ყავის და-
ლევის, კოლეგებთან გასაუბრების პირობებიც
(დროც) კი არა აქვს, ისეა აწყობილი მასწავლო
პროცესი. ვინმე თუ ინტერესდება ამით?

სამინისტრომ ისიც კი ვერ მოახერხა, რომ
საშუალოსთან მიხლოებული ხარისხის საგან-
მანათლებლო სტანდარტები და სახელმძღვა-
ნელოები მიანოდოს მასწავლებლებს (და ვერც
მიანვდის, სანამ ექსპერტებისა და ავტორების
სავალდებულო სერტიფიცირება არ დანესდე-
ბა და სანამ სახელმძღვანელოებს ბიზნესი, გა-
რეგებები და კორუფცია არ ჩამოშორდება).
ათწლეულთა განმავლობაში კანტიკუნტად თუ
მიანვდიდა სასწავლო რესურსების (თვალსა-
ჩინობის) იმ მინიმუმს, რომლის გარეშეც ხა-
რისხიანი სწავლება უზრალოდ შეუძლებელია.
სკოლებში იმის პირობებიც კი ვერ უზრუნველ-
ყვეს, რომ სადმე შეიძლებოდეს თუნდაც ნაჩუ-
ქარი ან საკუთარი ხარჯებით დამზადებული
ამ რესურსების დატვირთვა შენახვა (მაგალი-
თად, საზაფხულო არდადეგებისა თუ რემონ-
ტების დროს რომ არ განადგურდეს) და თან
შენახვა ისე, რომ მათი გამოყენება მოსახერხე-
ბელი და ადვილი იყოს; მასწავლებელთა უმ-
რავლესობა ხარისხიანი სახელმძღვანელოები-
თა და საშუალო ხარისხის პერსონალური კომ-
პიუტერთაგან კი არაა უზრუნველყოფილი (მა-
შინ როდესაც მოსწავლეთა „ბუკები“ თითქ-
მის უაზროდ იხარჯება მილიონები). განა ეს
აბუჩად ადგება არაა?

გულახდილად ვამბობთ: ასეთ პირობებში
პირადად ჩვენც კი ვერ შევძლებდით ხარისხი-
ანად სწავლებას (თუმცა, სხვა ყველაფერთან
ერთად, 20-30 წლის პრაქტიკული პედაგოგიუ-
რი გამოცდილებაც გვაქვს).

მთელმა საზოგადოებამ უნდა შეიგნოს: მას-
წავლებლები (მათი უმრავლესობა მაინც) ის
დიდოსტატები არიან, რომლებიც ამ აუტანელ
ვითარებაში მაინც ახერხებენ რელაცსა და სა-
ზოგადოებას იმაზე 20-ჯერ მეტს უზრუნველ-
ვიდრე მისგან იღებენ (საპირისპიროდ იმ თა-
ნამდებობის პირებისა, რომლებიც საზოგადო-
ებას იმაზე 200-ზე მეტს ართმევენ, ვიდრე უზ-
რუნებენ). ამასთან, მასწავლებელთა უმრავ-
ლესობის პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვე-
ვების დონე არასაკმარისია, ხოლო ზოგისა იმ-
დენად დაბალია, რომ კვალიფიკაციის ამაღ-
ლების კარგი სისტემაც კი ვერ უშველის. ეს
მწარე სიმართლეა, მაგრამ ყოველივე აქედან
მართებული დასკვნების გამოტანა საჭირო.
მთავარი დასკვნა კი შემდეგია:

გვესმის, რომ სახელმწიფოს არა აქვს იმის
საშუალება, რომ მასწავლებლებს ხელფასი
ართუ მოუმატოს, არამედ წესიერი ინდექსა-
ცია მათს უზრუნველყოს (ანუ შეძლოს თუნ-
დაც მხოლოდ ლარის მსყიდველობითობის
შემცირების ანაზღაურება); ასევე, არა აქვს სა-
შუალება, რომ კვალიფიკაციის ამაღლების წე-
სიერი სისტემა ააწყოს; მაგრამ მხოლოდ მოს-
წავლელთა „ბუკების“, მასწავლებლის პროფე-
სიული განვითარების სქემისა“ და სხვა მრავა-
ლი უსარგებლო ხარჯების ნაცვლად ის მაინც
შეიძლება, რომ სახელმწიფომ მასწავლებლებს
კარგი სახელმძღვანელოები და დამატებითი
სახელმძღვანელოები, მეთოდური ნივთები,
მინიმალური თვალსაჩინოება მიანოდოს და
ამასთან, მუშაობის საშუალო პირობები მაინც
შეუქმნას (ყავის დალევის, კოლეგებთან გასა-
უბრების, ნელინადმი ერთხელ დასვენება-
მოგზაურობისა და საზოგადოდ, სრულფასო-
ვან ადამიანად ყოფნისა). ამ პირობებში კი მას-
წავლებელთა უმრავლესობა, დირექტორების
სათანადო ტრენინგების ფონზე, შეძლებს,
რომ საკმაოდ კარგად ასწავლოს. ანუ განათ-
ლების მისთვის არსებული ძალიან მწირი და-
ფინანსების პირობებშიც კი სავესებით შესაძ-
ლებელია მოსწავლეთა შედეგების მნიშვნე-
ლოვანი გაუმჯობესება. პარალელურად უნდა
დაიწყოს დიდი სახელმწიფო პოლიტიკა მას-
წავლებლის პრესტიჟისა და ავტორიტეტის
ასამაღლებლად – თუნდაც ხელფასების მომა-
ტების გარეშე, ოღონდ ნამდვილი და არა მოჩ-
ვენებით-ლიტონი პატივისცემითა და დაფასე-
ებით (ფინეთმა ამ მიმართულებით სასწაულები
მოახდინა ისე, რომ მასწავლებლის საშუალო
ხელფასი ფინეთში დასალებია, ვიდრე თითქმის
ყველა განვითარებულ სახელმწიფოში!).

6. კონკრეტულად რა ვქნათ

სასერტიფიკაციო გამოცდები აუცილებე-
ლია, ოღონდ ჯერ თვით ტესტების შემდგენ-
ლებმა უნდა ვეიარონ ცოტათი უფრო მაღალი

დონის სერტიფიცირება, ვიდრე თიანეთელ
ქართულის მასწავლებელს სთხოვენ (ტესტები
უნდა მოიცავდეს არსებით საკითხებს რო-
გორც თვით დარგთან, ისე მეთოდოლოგი-
აგრეთვე ტექსტის გააზრებას, პედაგოგიური
ფსიქოლოგიისა და პრაქტიკული ლოგიკის
საწყისებს). გარდა ამისა, ძირფესვიანად შე-
საცვლელია სასერტიფიკაციო გამოცდების
ფორმატი, შეფასების კრიტერიუმები და ნსე-
ბი, საგამოცდო პროგრამები (სამინისტროს-
ვის ორჯერ, 2010 და 2013 წლებში გვაქვს გა-
ზავნილი 18-გვერდიანი ტექსტი კონკრეტული
რეკომენდაციებით, მაგრამ მათგან არც ერთი

**სასერტიფიკაციო გამოცდები მკვეთრად გასაუმჯობესებელია, ხოლო
მასწავლებელი განსათავისუფლებელია გიუროკრატიისგან; ის თავისი მოს-
წავლებლის ყოველდღიურ ფუნქციებსა და რეაქციას, საკლასო ურთიერთ-
და მოსწავლეთა ტესტებსაც კლივს აუღის. ხოლო იმ გიუროკრატიისგან გა-
მითავისუფლებული თანხები მასწავლებელთა სამუშაო პირობების გაუმ-
ჯობესებასა და წახალისებას უნდა მოხმარდეს.**

არ გაუთვალისწინებიათ). ამჟამად ტესტები
არაა არც სანდო, არც ვალიდური, არც ნორმი-
რებული და არც სტანდარტიზებული.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სხვადას-
ხვა დარგების ტესტების სიმწევე მკვეთრად
განსხვავებულია – ანუ XXI საუკუნეში, დღისით
მზისით ხდება მოქალაქეთა უზენაესი დისკრიმი-
ნაცია (ამიტომაც არაფრისმომცემია სამინისტ-
როს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური
მონაცემები იმის შესახებ, თუ სხვადასხვა დარ-
გის მასწავლებელთა რამდენ-რამდენი პრო-
ცენტია სერტიფიცირებული). მაგალითად, ფი-
ზიკისა და მათემატიკის ტესტები გაცილებით
ძნელია, ვიდრე ქართული ენისა და ლიტერა-
ტურისა (ალბათ სულ მცირე 30-40%-ით); ჩვენ
კარგად ვიცნობთ მათემატიკის ანდა ფიზიკის
კარგ მასწავლებლებს, რომლებიც საუკეთე-
სოდ ასწავლიან V-IX კლასებში, მაგრამ ვერ
ძლევენ VII-XII კლასების მასწავლებელთათვის
გათვალისწინებულ ტესტებს. თანაც ეს ტესტ-
ები მათ არც შეეფერება, რადგან ისინი არც აპი-
რებენ X-XII კლასებში სწავლებას.

ასევე ძალიან ძნელია დაწყებითი (I-IV) კლა-
სების ტესტები, რადგან არაა გათვალისწინე-
ბული ფსიქოლოგიური მხარე: მასწავლებელმა
5 საათში უნდა გადაჭრას ამოცანები 7 სულ
სხვადასხვა დარგიდან; ზოგ ადამიანს შედარე-
ბით ეადვილება სწრაფი გადართვა-გადმორთ-
ვა, ზოგს კი – არა (სხვათა შორის, ეს საკითხი
უშუალოდ დიმიტრი უზნაძის თეორიას, კერ-
ძოდ განწყობის ფიქსირების ტიპოლოგიას ემ-
ყარება). ესე იგი, შესაძლოა, მასწავლებელმა
სხვებზე უკეთესად იცოდეს ის 7 დარგი და სა-
თანადო უნარ-ჩვევებიც განვითარებული
ჰქონდეს, მაგრამ გამოცდა ვერ ჩააბაროს იმის
გამო, რომ უჭირდეს ერთი დარგიდან მეორეზე
სწრაფად გადართვა.

ყოველივე ეს ჩვენ ადრევე განვჭვრიტეთ და
ამიტომ 2010-2011 წლებში გამოცდების
ცენტრს შევთავაზეთ (ვეკამათეთ და წერილო-
ბითაც ჩავაბარეთ) გამოცდების უფრო მოქნი-
ლი ფორმატი, რათა მასწავლებლის არჩევანის
ფართო საშუალება ჰქონოდა ორივე მხრივ:

I. აირჩიოს კლასების დონე: I-IV; I-VI; VII-IX ან
X-XII (VII-XII) (თუკი სურვილი ექნება, ჩააბა-
რებს 2, 3 ან 4-ვე დონეს);

II. თითოეულ ამ დონეზე აირჩიოს დარგი;
კერძოდ, დაწყებითის მასწავლებელს საშუა-
ლება ექნება, ერთ ჯერზე ჩააბაროს ან მხო-
ლოდ ქართული ენა-ლიტერატურა, ან მხო-
ლოდ მათემატიკა, ან მხოლოდ ბუნებისმცოდ-
ნეობა; თუკი სურვილი ექნება, მომდევნო ჯერ-
ზე ჩააბარებს სხვა დარგების გამოცდებსაც.
მთავარი ისაა, რომ ერთ ჯერზე კარგად მოე-
ზადება ერთი დარგისთვის. და კიდევ: გამოც-
დები ისეთ დროს უნდა ჩატარდეს, რომ მასწავ-
ლებელს წინასწარ, სულ მცირე, 20 დღე მაინც
დარჩეს დასასვენებლად და გამოცდისთვის
მოსამზადებლად.

ამის გარდა, სასერტიფიკაციო ტესტებში
მინიმუმამდეა შესამცირებელი შინაარსობრი-
ვი შეცდომები და ხარვეზები (ეს რომ სავესებით
შესაძლებელია, ცხადად ჩანს თუნდაც იმით,
რომ ზოგიერთი დარგის ტესტები თითქმის
უნაკლოა); და, რაც მთავარია, არსებითადაა
გასაუმჯობესებელი გამოსაცდელისთვის
ქულების მინიჭებისა და აპელაციის სისტემა.

ეს ყველაფერი რომ მოგვარებული ყოფი-
ლიყო, სერტიფიცირებულ მასწავლებელთა
წილი უკვე ამჟამად იქნებოდა არა 30%, არა-
მედ 50-60% – თანაც ხარისხის სრული შენარ-
ჩუნების პირობებში, ანუ ათასობით მასწავლე-
ბელი იმიტომ არაა სერტიფიცირებული, რომ
სასერტიფიკაციო ტესტებსა და გამოცდების
სისტემას მრავალი მძიმე ნაკლი აქვს.

ჩვენ მიერ აღწერილი ცვლილებებით
მოთხოვნათა საერთო დონე არ მოიკლებს, ანუ
ხარისხი არ დაქვეითდება. სამაგიეროდ, ასეუ-
ლობით კარგ მასწავლებელს მიეცემა სამარ-
ტიანი საშუალება იმისა, რომ თავიანთი ცოდ-
ნა გამოავლინონ. ცხადია, რომ ჩვენებური
ფორმატი ყველა მხრივ უკეთესია, მაგრამ სა-
მინისტრომ და გამოცდების ცენტრმა უზრა-
ლოდ თავი არ შეინუსეს, რადგან „სხვისი ჭირი
– ლობეს ჩხირი“. და კიდევ უარესი – ვითომ
„ალტერნატიული გზების“ შეთავაზების მიზ-
ნით მასწავლებლები სამინელი დამატებითი
ბიუროკრატით დატვირთეს. ბიუროკრატია

კი სწავლების ისედაც დაბლო ხარისხს კიდევ
უფრო ადაბლებს – მასწავლებელს არ გააჩნია
უსაზღვრო დრო და ძალ-ღონე სკოლის საქმე-
ებზე სამუშაოდ, მას ოჯახი და კიდევ მეორენე-
ობა (ან კერძო მოსწავლეები) ჰყავს – სახელმ-
წიფო სხვა გზას არ უტოვებს. ამიტომ ყოველი
ის საათი, რომელიც მასწავლებელსა და დი-
რექტორს „განვითარების სქემაზე“ და სხვა ბი-
უროკრატიაზე დაეხარჯება, პირდაპირ მოს-
წავლელს აკლდება. ამასთან, ბიუროკრატია
უნაყოფოა, რადგან სულ ადვილად ყალბდება
(კერძოდ „განვითარების სქემისთვის“ მომზა-
დებული დოკუმენტაციის ალბათ 80% ყალ-
ბია). საზოგადოდ, ბიუროკრატია არა საქმეს,
არამედ თანამდებობის პირებს სჭირდებათ –
საქმის ჩასანაცვლებლად. ვინ იცის, რამდენი
მილიონი იხარჯება და დაიხარჯება ფუჭად
თუნდაც მხოლოდ „განვითარების სქემისთ-
ვის“ – მაშინ როდესაც სკოლებს თვალსაჩინო-
ება და მეთოდიკური სახელმძღვანელოები აკ-
ლიათ მწვავედ; როდესაც დირექტორებს იმის
საშუალებაც კი არა აქვთ, რომ ყველაზე მონ-
დომებული და წარმატებული მასწავლებლები
პრემიით, მოგზაურობით ან კარგი დასვენე-
ბით წახალისონ.

მოკლედ – სასერტიფიკაციო გამოცდები
მკვეთრად გასაუმჯობესებელია, ხოლო მას-
წავლებელი გასათავისუფლებელია ბიუროკ-
რატისგან; ის თავისი მოსწავლეების ყო-
ველდღიურ ფუნქციებსა და რეაქციებს, საკ-
ლასო ურთიერთებასა და მოსწავლეთა ტესტებ-
საც ძლივს აუღის. ხოლო იმ ბიუროკრატის-
გან გამოთავისუფლებული თანხები მასწავ-
ლებელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესე-
ბასა და წახალისებას უნდა მოხმარდეს.

დავამთავრებთ ბრძნული იგავით. ახალ-
დაბადებული ჩვილის სარწმუნოებს ოთხი
ფერია დააფრინდა. პირველი ფერია გულკე-
თილი იყო და ჩვილს დაანათლა: „გაიზრდე-
ბა ჯანმრთელი, სულ ხალასი სიცოცხლით
გარემომორტყმული და თვითონაც სიცოცხ-
ლით სავსე, დღეგრძელი იქნება“. მეორე ფე-
რია გულკეთილი იყო და ჩვილს დაანათ-
ლა: „რომ გაიზრდება, იქნება გულკეთილი,
სათნო, მშრომელი, წესიერი, მომთმენი და
მომლიმარი“. მესამე ფერია ციციკეთილი
იყო და ჩვილს დაანათლა: „ნივნი ეყვარება,
კარგად ისწავლის, თავისი განათლებით გა-
ახარებს ახლობლებს“. მაგრამ მეოთხე ფე-
რია ბოროტი იყო და ჩვილს დაანათლა: „სა-
მაგიეროდ, ღრმა სიბერემდე სულ რვეულე-
ბი უნდა ატაროს!“

ზურაბ ვახანიანი
განათლების მეცნი. აკადემიკოსი,
პედაგოგიკის მეცნი. დოქტორი,
მათემატიკის მეცნი. კანდიდატი;
ფსიქოლოგიის პროფესორი;
საქართველოს ფსიქოლოგთა
საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე;
საგანმანათლებლო-შემოქმედებით კავშირ
„ქორბუდას“ თავმჯდომარე;
„საუკეთესო შედეგების მქონე
სერტიფიცირებული მასწავლებლის“ სტატუსის
მქონე 6 დარგში:
ქართული ენა-ლიტერატურა, მათემატიკა,
დაწყებითი განათლება, სამოქალაქო
განათლება, რუსული ენა, ინგლისური ენა

თამარ მახარაძე
კავშირ „ქორბუდას“ თავმჯდომარის
მოადგილე, ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებელთა კავშირის თავმჯდომარე,
ქართული ენისა და ლიტერატურის,
აგრეთვე I-IV კლასების
სერტიფიცირებული მასწავლებელი,
მასწავლებელთა მწვრთნელი

აუტიზმის დღე

სტიგმისა და სტერეოტიპების გარემოსვაში

აუტიზმი, უფრო ზუსტად აუტისტური სპექტრი, ადამიანის ნეიროგანვითარების შეფერხებაა, ეს ისეთი მდგომარეობაა, როცა ინდივიდს ახასიათებს ჩაკეტილი ცხოვრება. აუტიზმის მქონე ადამიანები საკუთარ თავზე არიან კონცენტრირებული, რადგანაც სხვებთან ინტეგრაცია და კომუნიკაცია არ შეუძლიათ. სტატისტიკის მიხედვით, ყოველ 68-ე ადამიანს აუტისტური სპექტრი აქვს, მისი წარმომავლობის შესახებ კი მედიცინა ჯერჯერობით ვერაფერს ამბობს. თუმცა, დიაგნოსტიკა შესაძლებელია, მაგრამ, როგორც წესი, დიაგნოზზე მშობლები მძაფრად რეაგირებენ და ხშირად, ექიმებს ადანაშაულებენ, რომ მშობლისთვის დიაგნოზის გაცნობა არასწორი ფორმით ხდება.

„მინდა გავიხსენო ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მძიმე დღე, როდესაც ჩემს შვილს აუტიზმის დიაგნოზი დაუსვეს. მიუხედავად იმისა, რომ ექიმს ბავშვი 10 წუთის ნახაჩი ჰყავდა, მითხრა, რომ იგი მხოლოდ 8-9 წლის ასაკში თუ მივიღოდა პირველად სკოლაში და თან სპეციალურში. თან ეს ყველაფერი ისე დაუნდობლად მითხრა, ნერვიც არ შეტოვებია.“ - ეს სიტყვები ჩვენს რესპონდენტს მარი კორკოტაძეს ეკუთვნის, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, აუტიზმის სპექტრის მქონე შვილის უფლებებს იცავს და არა მხოლოდ დათას უფლებებს... შეიძლება ითქვას, რომ მან შექმნა პრეცედენტი იმისა, რომ მშობელთა დაფინანსებული მოთხოვნით განათლების სამინისტრომ სკოლაში ამ ბავშვებისთვის ინტეგრირებული კლასი გახსნა. თუმცა, დათას დიაგნოზი მისთვისაც ისეთივე მტკივნეული და სტრესული აღმოჩნდა, როგორც დანარჩენი დედებისთვის, ვინც მსგავსი პრობლემის წინაშე დამდგარა. „კლინიკის

ეზოდან რომ გამოვედი, თავის მოკვლა მინდოდა. სახლში რომ მივედი, დავინყე ძებნა, თუ კიდეც სად სვამდნენ დიაგნოზს. რომ არა ის კეთილსინდისიერი ფსიქოლოგები, რომლებმაც ადამიანურად ამიხსნეს ეს ყველაფერი, რომლებმაც იმედის ნაპერწკალი ჩამისახეს, ძალა მომცეს და თან დამაკვალაინეს, თუ როგორ უნდა დამეწყო ბავშვთან მუშაობა, არც კი ვიცი დღეს ჩემი შვილი რა მდგომარეობაში იქნებოდა“.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ისტორიაში სწორედ ის მონაკვეთია, როცა 2015 წელს დათას სკოლაში წასვლის დროს მოვიდა, ქალბატონმა მარიმ შეძლო განეცხადებინა, რომ „ამჟამად, ჩემი შვილის IQ არის 93. იგი 6 წლის არის და მზად არის საჯარო სკოლაში პირველ კლასში მისასვლელად“. ეს ყველაფერი მხოლოდ იმით შეძლო, რომ ძალიან სწრაფად სძლია ემოციას და მიხვდა, რომ მხოლოდ დარდით და ვიშ-ვიშით შვილს ვერ დაეხმარებოდა. „რთულია, მაგრამ, უბრალოდ, უნდა ისწავლო ამ პრობლემასთან ერთად ცხოვრება. დღეს ეს ჩემთვის პრობლემა აღარ არის. ისე როგორც დიაგნოზამდე, დღესაც თავს ბედნიერად ვგრძნობ დათასთან ერთად“.

„სიმართლე გითხრათ, პირველად დიაგნოზს ვმალავდი, რომ ბავშვი არ დაეჩაგრათ. პირველ რიგში, მეშინოდა საზოგადოების, თუ როგორ მიიღებდა აუტიზმის მქონე დათას...“

ამის შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა, როგორია დღეს ჩვენს საზოგადოებაში შშმ პირის ბედი? - ამ თემაზე საუბრობს მარი კორკოტაძე, რომელიც ჩართულია მეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაში და მშობელთა გაძლიერების პროცესში.



- რა წინააღმდეგობებს აწყდებით, როგორც მშობლები? როგორია საზოგადოების დამოკიდებულება?

- 4 წლის წინ დაუსვეს ჩემს შვილს დიაგნოზი და ვერც კი შევადარებ მაშინდელ დროს დღევანდელ დღეს. მართალია, ჯერ კიდევ ძლიერია სტიგმა და სტერეოტიპები საზოგადოებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ, მაგრამ წინსვლა არის. წინსვლა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენი შვილები დაიან სკოლებსა და ბაღებში. ადრე ეგრეთ წოდებული „ჯანმრთელი“ ბავშვების მშობლები აპროტესტებდნენ, როდესაც მათი შვილების გვერდით სწავლობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები. იმედს ვიტოვებ, რომ დღეს მსგავსი რამ აღარ ხდება. ჩვენი მთავარი პრობლემა უფრო სწავლის პროცესშია, ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში და ა.შ. ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მძღოლებს, როდესაც ბავშვი ხმაურობს ან ტირის, ასევე მგზავრებსაც, იძულებული ხარ აუხსნა მათ, რომ შენს შვილს აქვს აუტიზმი, რასაც მოჰყვება შეცოდება და ცრემლები. ეს ყველაფერი მშობლისთვის ძალიან მძიმეა.

- როგორ შეაფასებთ ინკლუზიურ განათლებას? რა მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს სკოლა?

- დღეს ყველა სკოლის კარი ღიაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის, მაგრამ აქ მთავარი ის არის, თუ რას სთავაზობს მათ სკოლა. სანამ ბავშვი სკოლაში მივა, მშობელს დიდი ბრძოლა უნევს იმისთვის, რომ იმ სკოლაში, სადაც არ არის დაშვებული სპეციალური მასწავლებლის შტატი, ეს პრობლემა მოავგაროს. სკოლა და განათლების სამინისტრო მხოლოდ სწავლის დანების შემდეგ იწყებს კონკურსის გამოცხადებას და მასწავლებლის შერჩევას. გამოდის, რომ სსსმ მოსწავლე დისკრიმინაციულ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან სკოლამ წინასწარ არ იზრუნა მასწავლებლის მის უზრუნველყოფაზე. ამიტომ, ის იძულებულია სახლში დარჩეს, ან მშობელმა მისთვის პირადი ასისტენტი დაიქირაოს, ან თავად დაჯდეს კლასში ბავშვის გვერდით (სადაც მშობელი უდრედს სტრესს იღებს). ეს ყველაფერი პირადად გადაიხდა და

მინდა ვთქვა, რომ ძალიან მძიმეა. ბევრი ვიბრძოლე, უზრუნველსტებიც ჩავრთე, იმისთვის, რომ სკოლას და სამინისტროს დროულად შეერჩია დათასთვის სპეციალური სპეციალური.

დღეს სკოლა 6 ბავშვზე 1 სპეციალურ მასწავლებელს გვთავაზობს. ამ დროს ვერანაირად ვერ მოხდება ინკლუზია, თუ ქვეყნის პრობლემების მქონე მოსწავლე უზრუნველყოფილი არ იქნება ინდივიდუალური ასისტენტით, რომელიც მას სააკვეთილო პროცესში ჩართვას და დახმარებას. სკოლები არ არის ადაპტირებული ეტლით მოსარგებლელ მოსწავლეებისთვის, იგულისხმება არა მხოლოდ სკოლაში შესასვლელი პანდუსი, არამედ სველი ნერტილების ადაპტირება, ლიფტი და ა.შ. საჯარო სკოლებში არ არსებობს მსგავსი პირობები მენტალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, რაც პირადად ჩემი ყველაზე დიდი ტკივილია.

ვენინააღმდეგები სპეციალურ სკოლებს და სპეციალურ კლასებს, რადგან ბავშვები უფრო მეტად პროდუქტიულები სწორედ ჩვეულებრივ კლასში არიან, იქ გრძნობენ თავს პიროვნებებად და უფრო მეტად მოტივირებულიები ხდებიან.

- უფრო კონკრეტულად რა საჭიროებებზე გაამახვილებთ ყურადღებას - ყველაზე მეტად რა სჭირდება თქვენს შვილს?

- ჩემს შვილს სჭირდება მეტი კვალიფიციური მასწავლებელი და უფრო მეტად ჩართვა ყველა აქტივობაში. კვალიფიციური კადრი კი დღეს ძალიან ცოტაა. დავინყეოთ სპეციალური მასწავლებლებით. მათი სტატუსი ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული, ისინი არა პედაგოგებად, არამედ ადმინისტრაციის თანამშრომლებად არიან დარეგისტრირებულნი. მათი ხელფასი, დაახლოებით, 230 ლარს შეადგენს. ძალიან ძნელია, ასეთი მცირე ხელფასით შეინარჩუნო კვალიფიციური კადრი. ამ დროს კი, ყველაზე მეტად ბავშვი ზარალდება და, შესაბამისად, სახელმწიფოც. ძალიან მნიშვნელოვანია განისაზღვროს სპეციალური სტატუსი და გაიზარდოს მისი ხელფასი.

- ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობთ, რომ: „ჩვენ, მშობლებს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვჭირდება ბრძოლა შვილის უფლებების დაცვადა“. რას გულისხმობთ? ალბათ, ეს გას-

და მიზეზი, რომ ჩამოყალიბეთ ორგანიზაცია შვილების უფლებების დაცვადა და გარემო თქვენი მსგავსი მშობლები შემოიკრიბეთ.

- რა თქმა უნდა, ყოველ ნაბიჯზე და ყოველ პატარა დეტალზეც კი გვიწევს ბრძოლა. პირადად მე ძალიან შორი მანძილიდან დამყავს შვილი სკოლაში, რადგან ეს სკოლა მდებარეობს აუტიზმის იმ ცენტრის გვერდით, სადაც ჩემი შვილი დადის. ხანდახან შეიძლება დაგვაგვიანდეს ხოლმე. სკოლის დირექტორმა კი სპეცემსწავლებელი გააფრთხილა, დაგვიანების შემთხვევაში, ბავშვი გაკვეთილზე არ შეუშვას, ანუ პირველკლასელი მოსწავლე, რომელსაც აუტიზმი აქვს, არ უნდა შეუშვა გაკვეთილზე და მეორე გაკვეთილის დაწყებამდე ალოდინო? როგორ ფიქრობთ, ეს სწორი დამოკიდებულებაა? ჩემი აზრით, ეს ბავშვის ნაშენობაა და სხვა არაფერი. სხვათა შორის, ამის გამო დირექტორთან შევედი და მოვთხოვე გამოაკლისის დაშვება, უარი მივიღე და როდესაც შევეწინააღმდეგე, მიყვირა კიდევ არც მასწავლებელს და არც სკოლის დირექტორს არ აქვთ უფლება, მშობელს უყვირონ. მათ თმენის ვალდებულება აქვთ!

თუ გამოაკლისს ვერ დაუშვებენ, მაშინ სახელმწიფომ გამიკეთოს აუტიზმის ცენტრი სახლთან ახლოს, შესაბამისად, სკოლაშიც სახლთან ახლოს ვატარებ და აღარც დაგვაგვიანდება ხოლმე.

ასევე, აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვებისთვის არ არის საკმარისი თერაპიები. მხოლოდ 2015 წლის 1 ივლისიდან მოხდა აუტიზმის პროგრამის დაფინანსება თბილისის მერიის მიერ. ძალიან მძიმე მდგომარეობაა რეგიონებში, რადგანაც იქ მსგავსი სერვისიც კი არ არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იზრუნოს კადრების გადამზადებაზე, რომლებიც რეგიონებისთვის იმუშავენ.

ჯერჯერობით, მარტო ზუგდიდში, მშობლების მიერ შეიქმნა აუტიზმის ცენტრი, სადაც ბავშვები ABA თერაპიას გადიან. ზუგდიდის მერის სახელზე დაწერეთ წერილი და გავაგზავნეთ მერიამ, რათა ზუგდიდის მერიამაც დააფინანსოს ABA თერაპია, ისევე როგორც თბილისის მერიამ დააფინანსა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რაც უფრო პატარა ასაკიდან ხდება ჩართვა ამ თერაპიაში, მით მეტი შედეგი აქვთ ბავშვებს.

სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამდენიმე მშობელმა ჩამოყალიბეთ ორგანიზაცია „ოჯახები დისკრიმინაციის წინააღმდეგ“ და აი, ასე ვიბრძობთ ჩვენი შვილების უფლებებისთვის.

- უფრო კონკრეტულად, რა საქმიანობას ეწევა თქვენი ორგანიზაცია?

- ჩვენი ორგანიზაციის მისიაა, რომ ყველა ბავშვმა მიიღოს განათლება დისკრიმინაციის გარეშე. რამდენიმე შეხვედრა გვექონდა მერიის და განათლების სამინისტროს წარმომადგენლებთან იმისათვის, რომ სკოლებში დაინყოს მასწავლებლების სუპერვიზია ABA მეთოდით, რომლის შედეგადაც მასწავლებლები შეისწავლიან მოსწავლეებთან მუშაობის ტექნიკას, რაც, თავისთავად, ხელს შეუწყობს ინკლუზიური განათლების განვითარებას. ეს

ყველაფერი კარგი იქნება, როგორც სსსმ მოსწავლისთვის, ასევე ყველა დანარჩენისთვის, ვისაც რაიმე ტიპის ქცევის პრობლემა შეიძლება ჰქონდეს. გადამზადებული მასწავლებლები გაზრდიან თაობებს.

ამჟამად პროექტს ვერთ, რომელსაც თბილისის მერიას წარუვადგენთ.

- 2 აპრილი აუტიზმის ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღეა. როგორ აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში?

- 2007 წლის 18 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო №62/139 რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, 2 აპრილი გამოცხადდა აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ. მას შემდეგ მთელ მსოფლიოში აღინიშნება. გამოიკლი-სი არც საქართველოა და მას, „საქართველოს აუტიზმის ასოციაციის ინიციატივით“, 2011 წლიდან აღვნიშნავთ.

ბოლო სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აუტიზმის სპექტრის დარღვევა ყოველ მე-60 ბავშვს უფიქსირდება, სამწუხაროდ, მაჩვენებლები წლიდან წლამდე იზრდება. აქედან გამომდინარე, ჩვენ, მშობლები, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ 2 აპრილის სათანადოდ აღნიშვნას და დაგეგმილ ღონისძიებებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის ჩართვას. 2011 წლიდან, მართლაც აქტიურად და დიდი მონდომებით ერთვებიან სხვადასხვა უწყებები, ცნობილი სახეები და მასმედია. ჩვენთან აქტიურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორი. უკვე ყოველწლიურ, ტრადიციულ ქვეყნულ საქველმოქმედო კონცერტში, მონაწილეობენ ქართველი ვარსკლავები და ცნობილი ადამიანები.

2 წლის წინ თხოვნით მივმართე საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს, რომ 2 აპრილს ჩვენი შვილებისთვის ემსახინძლა. მათი თანადგომით, უკვე მეორე წელია, რაც თბილისის ზღვაზე იმართება „სახანძრო“ ღონისძიება. ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა ნახონ მთელი პროცესი, თუ როგორ მუშაობენ მეხანძრეები - როგორ აქრობენ ცეცხლს, როგორ ჩამოჰყავთ ადამიანები უსაფრთხოდ მაღალი კედლიდან, ბავშვები ათვისებენ მათ სახანძრო მანქანებს და ა.შ.

ლურჯი ფერი აღიარებულია აუტიზმის ფერად. სწორედ ამიტომ, 2 აპრილს, მსოფლიოს შენობები თუ ისტორიული ძეგლები - ეიფელის კოშკი, ნიაგარას ჩანჩქერი, სიდნეის ოპერა და უამრავი სხვა - ლურჯად ნათდება. მშობლების ინიციატივით, გასულ წელს, საქართველოში „ქართლის დედა“ და ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი განათდა.

- როგორია საზოგადოება, რომელშიც ისურვებდით, რომ თქვენმა შვილმა იცხოვროს?

- მე მინდა ჩემმა შვილმა ისეთ საზოგადოებაში იცხოვროს, სადაც მას მიიღებენ ჩვეულებრივ ადამიანად და სადაც ხელმეწყობა ექნება მისი საქმიანობებიდან გამომდინარე!!!



თვალსაზრისი

უნყვეტი პროფესიული განვითარება ჩვენი წინსვლის სანიღარი

ხშირად მახსენდება სულმნათი ილიას სიტყვები – „მოდრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“. სწორედ მოძრაობასა და სასიკეთო ცვლილებებში ხდება ჩვენი ზრდა-განვითარება, სწორედ მოძრაობა დაგვაპუ-რებს და გვაქცევს ყანად. როდესაც, რამდენიმე წლის წინ, ჩვენი სკოლის მაშინდელმა დირექტორმა **ლელია ალადაშვილმა** ბატონი **კახა ჟღენტი** მოიწვია, რომელმაც ჩაგვიტარა ტრენინგის კურსი „პერმანენტული კონსულტაციების პაკეტი“, მიგვხვდა, რომ რაღაც საინტერესო იწყებოდა, რადგან უწყვეტი პროფესიული განვითარება ჩვენი ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველია. დღეს უკვე სახეზე გვაქვს სქემა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლისთვის, რომელიც თანმიმდევრულად მიიკვლევს გზას.

დიდი ჩილეელი მწერალი, გაბრიელა მისტრალი, მასწავლებლის ათი მცნებიდან ერთ-ერთში წერს: „გახსოვდეს, შენი პროფესია ხელობა კი არა, ღვთისმსახურებაა“. დიას, ეს უდიდესი ტვირთია, რომელიც უნდა ვზიოდოთ, თუკი ჩვენ მასწავლებლობა გვიჩნდა. ერთ-ერთ ტრენინგზე ტრენერმა დაგვისვა კითხვა – მასწავლებელი ხარ თუ მასწავლებლად მუშაობ? კითხვა ერთობ მნიშვნელოვანად და საინტერესოდ მივიჩნიე, ჭკვიანურად იყო დასმული. წამებში გაიბრინა ჩემს გონებაში გავლილმა წლებმა, ზუსტად იმ პერიოდთან, პედაგოგობაზე რომ ვფიქრობდი (ეს ბავშვობის ხანა იყო). მოუთმენლობამ შე-

მიპყრო და მინდოდა ჩემი აზრი, რაც შეიძლება მალე მოესმინა დამსწრე საზოგადოებას, ყველასთვის მინდოდა მეთქვა, რომ მე მასწავლებელი ვარ და დიას, მკაცრად უნდა მოვთხოვო ჩემს თავს, რათა ყოველთვის ვიდეე მონოდების სიმალეზე, რაც, თავის მხრივ, თავდადებასა და შრომისმოყვარეობას მოითხოვს.

ხშირად ჩაგვიტარებულვარ წარსულზეც, რატომ არ ვავაგრძელებ სწავლა, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, იმდროინდელ ასპირანტურაში, რატომ არ ვიზრუნე დოქტორის ხარისხზე და ა.შ. პასუხი არც ისე რთულია: ავირჩიე გზა, რომლითაც ხელში ჩავიგდე სადავე, აღეზარდო მომავალი თაობა სკოლაში, სადაც ყალიბდება ღირსეული მოქალაქე და საფუძველი ეყრება ქვეყნის მომავალს.

ჩვენი განვითარებისათვის ადრეც არსებობდა ატესტაციები, რის მიხედვითაც გვენიჭებოდა კატეგორიები, მაგრამ ვფიქრობ, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის დღევანდელი სქემა გამორჩეულია, რადგან მკაფიოდ განსაზღვრავს და აფასებს რა გვიკეთებია, რას ვაკეთებთ და რა უნდა გავაკეთოთ მომავალში. გადავხედოთ, თუნდაც, „მასწავლებლის საქმიანობის დანაშაულის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გზამკვლეულს. აქ თანმიმდევრულად არის ჩამოყალიბებული, თუ როგორ უნდა შევინარჩუნოთ ძველი და მოვიპოვოთ ახალი სტატუსი.

ჩვენი უკვე ნათელია, რა კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადავდგათ. თუნდაც, თვითშეფასების კითხვარის შევსებამ რამდენ მნიშვნელოვან საკითხზე ჩამაფიქრა და მიბიძგა დამესახა ახალი სამუშაო გეგმა, რომელიც, მოსწავლეებთან ერთად, ჩემი მუშაობის ერთ-ერთ საინტერესო პერიოდად უკვე გადამექცა. რაც შეეხება პედაგოგთა მეცნიერული ცოდნისა და პროფესიული უნარების განვითარება-გაღრმავებას გამოცდის სახით, მიმანია, რომ აუცილებელია და საჭირო.

აქვე არ შემოიძლია არ ვახსენო სქემაში ჩართული სერტიფიცირებული პედაგოგების აღმწერი დოკუმენტაციის შეფასების საკითხი. დიდი მადლობა ბატონ კახა ჟღენტს და მთელ იმ გუნდს, რომელიც განიხილავდა და აფასებდა ამ აქტივობებს. 6 კრედიტულის დამსახურებამ დამარწმუნა, რომ ჩემი ნაშრომი, რომელიც, ოჯახური პირობების გამო, დაგვიანებით გადაიგზავნა, დიდი ყურადღებით განიხილეს და შეაფასეს კომპეტენტურმა პირებმა. ბატონმა კახამ დამაკვლიანა და მიმითითა იმ კანონიერ გზაზე, რომლის საშუალებითაც შევძლებდი ნაშრომის წარდგენას. სკოლის დირექტორი **მადონა ლომსაძე**, რესურსცენტრის უფროსი **იამზე სვანიძე** აქტიურად იყვნენ ჩართულები, რათა ჩემი აქტივობები შეუფასებელი არ დარჩენილიყო.

რასაკვირველია, განვილდ პერიოდსაც და გასავლელსაც ახლავს თავისი სირთულეები. შესაძლოა სხვადასხვა პედაგოგი სხვადასხ-

ვაგვარად შეხვდა კრედიტულების მინიჭების სისტემას, მაგრამ მე მინდა ვთხოვო თითოეულ მათგანს – ნუ მინწყენთ პატივცემულ კოლეგებს, ჩვენ ხომ ყველა საშუალება მოგვეცა აქტივობათა ატვირთვისა და ხელახალი განხილვისათვის. გადავინიგეს ვადები, დაგვიანების შემთხვევაშიც კი, დაინტერესებულ პედაგოგებს მიგვითითეს, როგორ უნდა მოვექცეულიყავით, ნაშრომები განიხილეს ხელმეორედ და შეფასდა პედაგოგის მუშაობის პროცესი. ცვლილებას მოუთმენლად ველოდი და აისახა კიდევ.

იმედი მაქვს, გზამკვლევის საშუალებით, კიდევ უფრო კარგად გავერკვევით ცალკეული აქტივობების განხორციელებაში სათანადო რუბრიკების საშუალებით, რის შედეგადაც შევძლებთ ვიკვლით პრაქტიკა, შევქმნათ რესურსი, პროფესიული ლიტერატურა, მეთოდური სტატია და სხვ.

ბოლოს კი ნარმატება მინდა ვუსურვო ჩემს კოლეგებს და იმ პროფესიონალებს, რომლებიც ქმნიან და გვანვინან ლიტერატურას გზამკვლევის სახით, ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებს საჭიროების მიხედვით, ყოველი საქმიანი ზარის შემთხვევაში ყურადღებით გვისმენენ და გვაძლევენ მკაფიო და ნათელ ინსტრუქციებს. უწყვეტი პროფესიული განვითარება ხომ ჩვენი წინსვლის საწინდარია.

ზინა გაფრინაშვილი
ბოლნისის №5 საჯარო სკოლის
მეთმეტიკის მასწავლებელი

კედაგობთა დასახარებლად



მარინა ჭიქრადზე

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისთვის

სამოქალაქო განათლება

როგორც მოგეხსენებათ სამოქალაქო განათლების ერთ-ერთი მიმართულებაა მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. ამ მიმართებით ვიხილავთ თამბაქოსა და ალკოჰოლის მავნებლობას, რომელსაც ვუთმობ 2 გაკვეთილს. გაკვეთილები მოიცავს პრევენტივებს და სავარჯიშოებს, დასასრულს ვიყენებ განტვირთვის სავარჯიშოსაც.

სამარჯიშო: რამდენად ზრუნავთ საკუთარ ჯანმრთელობაზე?

ამოცანა: სავარჯიშო უბიძგებს მოსწავლეებს იფიქრონ იმაზე, რომ ყოველთვის არ ვაკეთებთ იმას, რაც ჩვენი ჯანმრთელობისთვის სასიკეთოა. ეს დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ ადამიანების ქცევა, ანუ რა ვიცით და როგორ ვიქცევით.

პროცესი: მონაწილეები უნდა დადგინდეს სკამების წინ. სავარჯიშოს შემდეგნაირად ვხსნი: „სავარჯიშოს დასაწყებად საჭიროა დადგეთ თქვენს ადგილებთან. ახლა დავიწყებ ზოგიერთი დებულების წაკითხვას. თუ თქვენი პასუხი ამ დებულებაზე იქნება „არა“, თქვენ უნდა დასხდეთ სკამზე, ვიდრე თქვენი პასუხი იქნება „დიახ“, ფეხზე იდგებით. მაგრამ თუ დასხდებით, ისხდებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი პასუხი შემდეგ საკითხზე დადებითი იქნება. თუ დასხდებით, დარჩით ამ მდგომარეობაში. მაგალითად, თუ პირველი წინადადებაა „მე გავდივარ სამედიცინო შემონმებს რეგულარულად“, ხოლო თქვენ არ გადისხართ ასეთ შემონმებს, მაშინ უნდა დადგეთ და აღარ ადგეთ.“

1. ვთხოვ მოსწავლეებს, ადგინდ ფეხზე და ვინც დებულებების კითხვას:

- არ ვენევი;
- რეგულარულად ვვარჯიშობ;
- რეგულარულად ვიტარებ პროფილაქტიკურ სამედიცინო შემონმებს;
- რეგულარულად ვიტარებ შემონმებს სტომატოლოგთან;
- მხოლოდ ჯანსაღი საკვებით ვიკვებები;
- არასოდეს მიმიღია ალკოჰოლის ჭარბი რაოდენობა.

2. როცა ყველა დაჯდება, ვეკითხები მოსწავლეებს, რა აერთიანებს ამ დებულებებს. თუკი ვერაინ პასუხობს შეკითხვას, მოსწავლეთა ყურადღებას ვამახვილებ იმაზე, რომ ჩამოთვლილი იყო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დებულებები.

შეჯამება – მოსწავლეებს ვუხსნი, მიუხედავად იმისა,

რომ ხშირად კარგად ვიცით, რა უწყობს ხელს ჩვენს ჯანმრთელობას, ამ ცოდნას ყოველთვის არ ვიყენებთ. თითოეულ ჩვენგანს ჩაუდენია ისეთი რამ, რითაც მეტ-ნაკლებად რისკის ქვეშ დაუყენებია საკუთარი ჯანმრთელობა და ასეთი ქცევების შედეგად სერიოზული ზიანიც მიდგომია. საპრევენტივოდ ისეთ თემებს ვარჩევ, რომლებშიც სწორედ ჯანმრთელობისთვის ხელის შემშლელი საკითხები იქნება განხილული.

პრევენტივის თემა – თამბაქო:

პრევენტივის დანაშაულებზე ვსვამ შეკითხვას, არიან თუ არა ჯგუფში მწველები. თუ რომელიმე მათგანი მწვეელია, ვთხოვ, ყურადღებით უსმინოს პრევენტივებს. შემდეგ ყველა ერთად განვიხილავთ თამბაქოს მონევის შედეგებს.

თამბაქოს შესახებ პრევენტივაში განხილული იქნება შემდეგი თემები:

- რა არის თამბაქო?
- რა გავლენას ახდენს თამბაქო ადამიანის ჯანმრთელობაზე?
- რა არის პასიური მოწევა?
- როგორ ვთქვათ უარი თამბაქოზე?
პრევენტივის მსვლელობისას ვსვამ 2 შეკითხვას:
1. რატომ იწყებენ თამბაქოს მოწევას და ვერ ანებებენ თავს?
2. რა არის თამბაქოს უარყოფითი თვისებები?
პრევენტივის დასრულების შემდეგ ვინტერესდები, აქვთ თუ არა კითხვები ამ თემის ირგვლივ?

პრევენტივა ალკოჰოლის მოხმარების შესახებ

ამოცანა: მონაწილეებისთვის განვმარტავ, რა არის ალკოჰოლი და ალკოჰოლიზმი; გარემოებები, რის გამოც ახალგაზრდები მიმართავენ ან მოიხმარენ ალკოჰოლს; როგორია ალკოჰოლის მოხმარებისა და მათგან გამოყენების გავლენა ახალგაზრდების ჯანმრთელობასა და ქცევაზე; შედეგები, რომელიც შეიძლება მოჰყვეს ალკოჰოლის სისტემატურ და დიდი დოზით მოხმარებას.

სამარჯიშო: როლური თამაში „როგორ ვთქვათ უარი“

ამოცანა: ახალგაზრდებისთვის დახმარების განევა, როგორ გაუმკლავდნენ თანატოლთა ზეწოლას, რომელიც ალკოჰოლის მიღების მიზნით ხორციელდება მათზე და გამოიმუშაონ თავდაჯერებულობა.

პროცესი: ვთხოვ ორ მოხალისეს, განასახიერონ სიტუა-

ცია, როდესაც ვინმე, მათივე ასაკის პიროვნება, ისეთი რამის გაკეთებას სთხოვს, რაც მათ არ სურთ.

მოხალისეებს ვუკითხავ მაგალითს: – მეგობარმა უცნობი კოქტილის დაღვევა შემოგთავაზათ...

შემდეგ განვიხილავ, როგორ თქვა უარი როლების გათამაშებაში მონაწილე პირმა. ვეკითხები, თუ რას გრძობდნენ, როდესაც უარს ამბობდნენ შეთავაზებაზე. იოლი იყო თუ არა ეს?

განხილვისას ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ უარის თქმა ყოველთვის არ არის იოლი, განსაკუთრებით – მეგობრისთვის. ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ადამიანი იბნევა ან თავს უხერხულად გრძნობს, როდესაც სხვები მასზე ზეწოლას ახდენენ. თუმცა, შეგიძლიათ ისწავლოთ სხვადასხვა ხერხი იმგვარ რამეზე უარის სათქმელად, რის გაკეთებაც არ გსიამოვნებთ ან არ გსურთ, და იმავე დროს საკუთარი თავისა და მრწამსის ერთგული დარჩეთ.

უარის დამაჯერებლად თქმის მაგალითებია:

- თქვენ თავაზიანად ამბობთ უარს;
- თქვენ შეგიძლიათ განმარტოთ უარის მიზეზი (მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბოდიში უნდა მოიხადოთ!);
- თქვენ იქიდან მიდიხართ;
- თქვენ სთავაზობთ ალტერნატივას;
- თქვენ არ ეთანხმებით მთხოვნელს;
- თქვენ შეტევაზე გადადისხართ;
- თქვენ სიტუაციას თავს არიდებთ.

მთელ ჯგუფთან ერთად, განვიხილავ, რამდენად კარგად ახერხებდნენ ინსცენირებაში მონაწილენი ზეწოლისათვის წინააღმდეგობის განევა.

მოთმევის სამარჯიშო – „მარჯუე საჩუქარი“

პროცესის აღწერა: მონაწილეები ორ ჯგუფად იყოფიან და დგებიან ერთმანეთის პირისპირ წყვილებად. მე ვეუბნები მოსწავლეებს: „წარმოიდგინეთ, რომ თქვენ პირისპირ მდგომ მენყვილებს უნდა აჩუქოთ რაიმე და ხმის ამოღების გარეშე ალუნეროთ, რას ჩუქნით. თქვენი მენყვილე უნდა მიხედეს, რა არის ეს და უნდა გითხრათ. თუ სწორად გამოიცნო, თქვენ ტაში უნდა დაუკრათ. თუ ვერ გამოიცნო – გააგრძელეთ აღწერა. მას შემდეგ, რაც თქვენი მენყვილე გამოიცნობს და გადასცემთ საჩუქარს, უკვე მან უნდა გაჩუქოთ თქვენ რაიმე სხვა საჩუქარი“.

ჰაიმონიკა

НЕИЗВЕСТНОЕ ОБ ИЗВЕСТНОМ

ЦЕЛЬ: «ИЗУЧИТЬ СО ВСЕХ СТОРОН».

Существование современного общества невозможно представить без книг. Но большую часть истории люди жили без них. Знание передавалось из поколения в поколение в устной форме, или обучением друг друга тому, как обеспечивать себя жильем, питанием и многими другими. В то время, когда образовались государства, и люди перестали жить маленькими группами, накопилось огромное количество знаний, хранить их в голове было просто невозможно, возникла необходимость передачи знаний не только родным, но и соседям. С этого момента началась письменность.

Первые записи были короткими и в основном рассказывали о людях, которые жили и работали в церковных храмах. Позже стали записывать пословицы, скороговорки. Государство стало нуждаться в грамотных людях, которых обучали в специальных школах. Работа писца считалась почетной.

